


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 10 მარტი 2 1897 წ. № 10

შინაარსი: საბერძნეთი და მისი პოლიტიკა გ. წ—ისა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—„კვალის“ კორესპონდენცია.—სანატორიკონი და მისი აზრი კავკასიის ხალხების შესახებ გ. წ—ისა.—საშემოდგომო მელოდია, ლექსი დუტუ მეგრელისა.—ელიზა ოჟეშკო და მისი აზრი ქალებზე ე—კოსი —მოდი მე წავალ იმ მეუღლთან (ლექსი პროზათ), ია. ეკალაძისა.—პოლიტიკური პარტიები გერმანიაში, (შემდეგი) ნ. ყ—იასი.—*** ლექსი ი. ევდოშვილისა.—ცხოველთა შთანაჩენის განვითარება, ფხ. სი.—პოლიტიკური ამბები.—ღია წერილი მოსკოველ სტუდენტებს ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.—საქველ-მოქმედო საქმე.—განც.

№ II „ჯეჯილისა“ გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს.

## საბერძნეთი და მისი პოლიტიკა.

III *)

საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ საბერძნეთის ხალხის გამოხატულებას ფრთები შეასხა. იმან გაუღვიძა საბერძნეთს ახალი იმედები, მოჰფინა თავისუფლების სხივი და მისი გავლენით საბერძნეთში დაიბადენ პოეტნი, რომელთაც ლექსებით დაამღერეს ქნარზე ერის თავისუფლების სიტკბოება. ამ ახალ მწერალთ შორის ყველაზე უფრო



საბერძნეთის კაროლის მეორე ძე გიორგი.

ნიჭიერი და გამბედავი იყო რიგა ფერეოსი, რომელმაც დააარსა „საიდუმლო ძმობა“ სახელათ „ჰეტერია“. ამ საიდუმლო საზოგადოებას განზრახვა ჰქონდა მთელ ხალხში გაედგა ფესვები და მოემზადებინა ბრძოლისათვის. სამწუხაროთ ახალგაზდა პოეტი, რიგა ფერეოსი ავსტრიის მთავრობამ შეიპყრო და გადასცა ოსმალეთის მთავრობას, რომელმაც იგი 1789 წელს ჩამოახრჩობინა. მაგრამ რიგა ფერეოსის ხსენება ღრმათ ჩარჩა გულში საბერძნეთს და მისი საქმე არ ჩამქრალა. საიდუმლო შეთქმულობა სამშობლოს გასათავისუფლებლათ ხელ-ახლა დაარსდა, რომელსაც დაერქვა სახელათ „მუზათა მო-

*) იხ. „კვალი“ № 9.

ყვარული საზოგადოება“, ანუ „ფილომუზის ჰეტერია“. ამ საზოგადოებასაც ის მიზანი ჰქონდა, რაც რიგას „საიდუმლო ძმობას“. ამათი ღვაწლი შესანიშნავია მით, რომ ხალხს ამზადებდენ თავისუფლების მოსაპოვებლათ. მაგრამ ყველაზე შესანიშნავი საიდუმლო საზოგადოება საბერძნეთის გასათავისუფლებლათ დაარსდა ოდესაში 1814 წელს და სახელათ ეწოდებოდა ფილიკიანები, ანუ მემეგობრენი. ეს იყო ჩინებულათ შედგენილი საიდუმლო საზოგადოება, რომელსაც გულში ამოჭრილი ჰქონდა საბერძნეთის გათავისუფლება ოსმალოს კლანჭებისაგან.

ფრიად საინტერესოა ამ საზოგადოების ორგანიზაციის გაცნობა: მთელი საზოგადოება შვიდ წყობათ, ანუ ხარისხათ იყო დაყოფილი: პირველათ ვინც ისურვებდა ამ საზოგადოებაში შესვლას, იმას მიუჩენდენ ყურისმგდებლებს და უწოდებდენ „საკავშირო მოძმეს“, მეორე ხარისხისანი იწოდებოდენ „არჩეულებათ“, მესამე ხარისხისანი — „მოძღვრებათ“, მეოთხე ხარისხისანი — „მწყემსებათ“, მეხუთე ხარისხისანი — „მთავარ მწყემსებათ“, მეექვსე ხარისხისანი — „ნაკურთხებათ“ და მეშვიდე ხარისხისანი — „უმაღლეს ნაკურთხებათ“. მეექსე და მეშვიდე ხარისხისანი უნდა მომზადებულიყვენ საომრათ და ჰქონოდათ სამხედრო დაწყობილობა. ისინი საიდუმლოთ ვარჯიშობდენ, სამხედრო სწავლას იძენდენ. სანამ მეშვიდე ხარისხამდე მიაწევდა შეთქმული ბერძენი, დიდი მოთმენა და მოღვაწეობა იყო მისთვის საჭირო. საიდუმლო საზოგადოებაში შემყვანნი წევრნი ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ, რომ ახალი შეძენილი კაცები გაეწვრთნათ და მტკიცე პირი შეეკრათ ურთიერთ შორის. „ჰეტერიას“ წევრნი ამ სახით თან-დათან მატულობდენ. მრავალნი ესრეთ წოდებულნი მოციქულნი „ჰეტერიასი“ დაიბნენ მთელ საბერძნეთში და, ვინც კი ცოტაოდნათ გავლენის მქონე კაცი იყო, ყველანი თავისკენ მიიმხრეს და შეამზადეს მთელი საბერძნეთის ხალხი თავისუფლების ბრძოლისთვის. 1819 წელს ამ საიდუმლო საზოგადოების ანუ „ჰეტერიას მეთაურ წევრებათ ითვლებოდენ ლევენდი, დიკეოსი, ეპისკოპოსი ეგნატე, გაცისი, პაქსიმადისი, მავრო-კორდატო, ძმები: ნიკოლოზი, გიორგი, და დიმიტრი ჰიპსილანტები; ამათ გარდა „ჰეტერიას“ წევრებათ ითვლებოდენ ცაიმა, მავრო მიხაილი, პატრიარხი გრიგოლი და, ასე გაშინჯეთ, სერბიის თავადი მილოშიც კი მიიმხრეს თავისკენ. ეს მილოში ახლანდელი სერბიის კაროლის პაპა იყო.

რაც უფრო ვრცელდებოდა „ჰეტერიას“ წევრები, რაც უფრო ძლიერდებოდა ეს საზოგადოება, მით უფრო დიდდებოდა შიში, რომ ოსმალეთის მთავრობას არ შეეტყო მათი ამბავი. ამ დროებაში თვით „ჰეტერიას“ უმაღლესმა გამგეობამ ორი მოციქულთაგანი კიდეც მოაკვლევინა, რომლებზედაც ეჭვი შეიტანა, ვითომც ისინი გამცემელნი ყოფილიყონ. მომწიფდა ჟამი მოქმედებისა. „ჰეტერიას“ ხელმძღვანელნი ეძებდენ გავლენის მქონე მეთაურებს. ამ განზრახვით „ჰეტერიას“ გამგე კომიტეტმა 1820 წ. გაგზავნა პეტერბურგს ერთი თავისი წევრი ქსანტოსი, რომ იქ მყოფ გრაფ კაპოდისტრიისათვის ეთხოვნა საზოგადოების პირით მეთაურათ გამხდარიყო. მაგრამ გრაფმა კაპოდისტრიამ შიშით უარი თქვა. მაშინ ქსანტოსმა თხოვა ალექსანდრე ჰიპსილანტის მხედართმთავრობა. ეს კაცი იმ დროს რუსეთის ჯარში ღენერლის ჩინით მსახურებდა. ამან თანხმობა გამოაცხადა იმ იმედით, რომ რუსეთის ხელმწიფეც შევეწევა საბერძნეთის მოძრაობაშიო.

ალექსანდრე ჰიპსილანტიმ მალე შეკრიბა ხუთი ათასი მეომარი, რომელსაც უწოდეს „წმინდა რაზმი“. იმან მოუწოდა მთელ საბერძნეთს: ხელი მოკიდეთ იარაღსო; თითონ კი თავის ჯარით შევიდა ქალაქ ბუხარესტში. მაგრამ რუმინიელების მაღალი წოდება წინააღმდეგათ დაუდგა მას და ერთმა ვალახიელმა თავადმა ვლადიმირესკომ წინდაწინ გასცა შეთქმულები; ამ დროს ოსმალეთის ძლიერმა ჯარმა მოუსწრო და დაამარცხა ალექსანდრე ჰიპსილანტი. ის შეეფარა ავსტრიის საზღვარს, ხოლო საბერძნეთის მეამბოხეთა რაზმს თავი მიანება. ამათ მეთაურათ გახდა მხნე გულის პატრონი გიორგიკა ოლიმპელი, ჩასაფრდა სეკოს მონასტერში და იქიდან დიდი ზარალი მისცა ოსმალეთის ჯარს. მაგრამ ოსმალოს ურდოს უმრავლესობის წინაღმდეგ რომ ვეღარა გააწყო-რა, აფეთქა თვით მონასტრის კედლები და გმირულათ მოკვდა. 1821 წელს აპრილის თვეში აღელდა მთელი საბერძნეთის სამხრეთი, ანუ ძველებურათ პელოპონესი. აქ მეთაურებათ იყვენ პატრასის არხიეპისკოპოსი გერმანე, ანდრია ცაიმა და ანდრია ლონტოსი. ჯერ კარგათ წავიდა მეამბოხეთა საქმე, პელოპონეზის ქალაქები აიღეს და ოსმალოს ჯარები გამორეკეს. ამავ დროს დატრიალდა მეამბოხეთა ფლოტი იაკობ ტომბაზის თაოსნობით და მთელი არხიპელაგოსის კუნძულები გაათავისუფლა ხიოს კუნძულს გარდა, რომელმაც უარი განაცხადა მეამბოხეთა საქმეში მონაწილეობის მიღებაზე. ჩრდილოეთ თესსალიაში გამაგრდენ სულიოტები და მტერი აღარ შემოუშვეს.

მაისის 7-ს მამულისშვილთა ჯარმა აიღო საბერძნეთის სატახტო ქალაქი ათინა და აკროპოლის ციხეში შეამწყვდია ოსმალოს ჯარები.

მაჰმადიანები საშინლათ გააფთრდენ ამ განდგომილებაზე და ქრისტიანს ალარაიას ზოგავდენ, არც

მოხუცს, არც დედაკაცს და აღარც ახალგაზდას. აღდგომა დღეს მაჰმადიანებმა დაიჭირეს გრიგოლ პატრიარხი და საკრებულო ტაძრის წინ ჩამოახრჩვეს. მაგრამ საბერძნეთის ერი არ შეუშინდა ასეთს სიმკაცრეს. ისინი ეწყობოდენ რაზმ-რაზმათ და სადაც კი შეხვდებოდენ ოსმალოს ჯარებს გმირულათ შეებმებოდენ და წინ ირეკდენ. შედგა მეორე მეომარი ფლოტი საბერძნეთისა, რომელსაც სახელათ მესოლინგიის და ანატოლიკონის სამხედრო გემები ეწოდა; მათ გაათავისუფლეს აკარნანიის და ეტოლიის მაზრები. გმირი მარკო ბოცარი თაოსნობდა სულიოტებს, რომელთაც წინ წარიქციეს ახალი გამოგზავნილი ჯარები ოსმალებისა და დახურეს მთის ხეობაში გასასვლელი კარი. ახლა დიდი ბრძოლა გაიმართა შიგ შუაგულ საბერძნეთში, ტრიპოლისის ქალაქში, სადაც იყო ადგილ-სამყოფელი საბერძნეთის მთავარ-მართებელ ფაშისა. მამულის სიყვარულით გატაცებულმა ბერძნის ჯარმა გმირულათ აიღო ეს ქალაქი და[illegible]აქ სამაგიერო მუსრი გაავლო მაჰმადიანებს. ამ დროს შედგა საბერძნეთის საერო გამგეობა მავროკორდატოს თავმჯდომარეობით და ჯერ არგოსში და შემდეგ ეპიდავრაში აწარმოებდა ქვეყნის საქმეებს. მან მოიწვია მთელი საბერძნეთის ჯარების მხედართ-მთავრათ დიმიტრი ჰიპსილანტი და იდღესასწაულა საბერძნეთის გათავისუფლება ოსმალოს ბატონობისაგან.

მაგრამ ოსმალეთის მთავრობა ისე მოუძლურებული არ იყო, რომ თავისი შეურაცხყოფა, ოსმალოს ჯარების დამარცხება და გამოძევება მოეთმინა. ის ემზადებოდა საშინელ ბრძოლას, შეკრიბა აურაცხელი ჯარები და უბრძანა ეგვიპტის ვიცეკაროლს მეჰმედ-ალის, მთელი ეგვიპტის ჯარი თავისი ფლოტით შემოესია საბერძნეთისთვის. მან გამოგზავნა შვილათ აყვანილი იბრაჰიმ ფაშა 17000 კაცით და 300 გემით, ხოლო კონსტანტინოპოლიდანაც ოცდა ათი ათასი ჯარი ხვანთქარმა ხმელეთით მიაყენა. ამ ჯარებმა საშინელი ჟლეტა-ხოცვა მოახდინეს საბერძნეთში, მაგრამ გმირი ხალხი მაინც თავს არ უდებდა და გამწარებული იბრძოდა თავის ქვეყნის მტრის წინაამდეგ. ამ დროს თვით დიდი სახელმწიფოებიც კი გადუდგენ საბერძნეთს ვერონის კონგრესზე.

ასეთ გაჭირვების დროს, თუმცა ხელმწიფეებმა ზურგი შეაქციეს პატარა ერის გმირულ თავ-განწირულ ბრძოლას, მაგრამ მაგიერათ ევროპის განათლებულმა ხალხებმა თავი გამოიდვეს ამ საქმისათვის. საზოგადოებამ თავის გაზეთების პირით ამოიღო ძლიერი ხმა ბერძნებ[illegible]ს სასარგებლოთ. გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში და სხვაგანაც გამოვიდენ მებრძოლნი საბერძნეთის თავისუფლებისათვის. ინგლისში შედგა მთელი საზოგადოება ესრეთ წოდებულ „ჰელლინელთა მოყვარულისა“ (ჰელლენოფილები); ხმა მოსცეს დანარჩენ ევროპის ხალხებმაც. იმათ გამოაწყვეს თავისუფლების მებრძ[illegible]ლი რაზმები და გაემგზავრენ საბერძნეთს მაჰმადიანების წინაამდეგ. თვით ლონდონში მოახდინეს ისეთი განკარგულება, რომ საბერძნეთს სამი მილიონი მანეთი ასესხეს ომის გასაგრძობათ. ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო სახელოვანმა ინგლისის პოეტმა ბაირონმა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ხაშმიანმა ციებამ იმსხვერპლა. ინგლისის მებრძოლი რაზმი ლორდის კოხრანისა და ღენერლის რიჩარდ ხურხის თაოსნობით მოვიდა საბერძნეთს იმის საქმეების განსაგებელათ. ასეთმა გარემოებამ საკეთილდღეოთ დაატრიალა საქმე. ინგლისის მთავრობას ნიკოლოოზ ხელმწიფის შეეშინდა, რუსეთმა ომი არ გამოუცხადოს ოსმალეთს და სტამბოლი არ დაიპყროსო. აი, ამისგამო ის გაერ[illegible]ა საბერძნეთის საქმეში და პეტერბურღს ელჩი გაგზავნა საბერძნეთის საქმეებზე მოსალაპარაკებლათ. ამას შემდეგ მოხდა ინგლისს, რუსეთს და საფრანგეთ შორის საერთო შეთანხმება ლონდონში 1827 წელს ივლისის 6, რომლის ძალითაც ოსმალეთს გაუგზავნეს დარიგება: საბერძნეთი შეირიგე, მიეცი შინაურ საქმეებში თავისუფალი გამგეობის ნება და სახელმწიფო გადასახადი კი ახდევინეო. ხვანთქარმა ამაზე უარი განაცხადა. ამას შემდეგ რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა შეერთებული ფლოტი გაგზავნეს და ნავარინოსთან მთელი ეგვიპტის ფლოტი აფეთქეს. მეორე წელს 1828 რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს, რომელიც დაბოლოვდა ადრიანოპოლის მშვიდობიანობით, ხოლო ამას შედეგათ მოჰყვა საბერძნეთის გათავისუფლება. მის კაროლათ არჩეულ იქმნა ბავარიის კაროლ ლუდოვიკ პირველის შვილი, პრინცი ოტტო. ამას შემდეგ საბერძნეთის ხალხი შეუდგა თავის შინაგანი საქმეების მოწყობას, ვაჭრობას, უმაღლესი სკოლების დაარსებას, ჯარის შედგენას და მის გაძლიერებას.

1862 წელს მოხდა საბერძნეთში არეულობა. კაროლი ოტტო ჩამოაგდეს ტახტიდან და მის მაგიერათ აირჩიეს საერთო ხმის მიცემით დანიის მეფის შვილი, გიორგი I. კაროლმა გიორგი I-მა დიდი ღვაწლი გაუწია საბერძნეთს. მის დროს საბერძნეთი ძალიან წინ წავიდა, რკინის გზები გაიმართა, ხალხი გამდიდრდა, ჩრდილოეთის საზღვრები თესსალიისკენ გაფართოვდა და ხალხს იმედი ჩაუნერგა გულში ერთ დროს საბერძნეთის კუთვნილი მაზრების და კუნძულების შემოერთებისა. გიორგი I-მა შეირთო ხელმწიფის ალექსანდრე II ძმის კონსტანტინე ნიკოლოოზის ძის ასული დიდი მთავრინა ოლღა და ამით

კიდევ უფრო გაძლიერდა საბერძნეთის დამოკიდებულება რუსეთთან. გიორგი I-ს 1869 წელს დაებადა პირმშო ვაჟი კონსტანტინე, რომელიც 1888 წელს შეიქნა ცხრამეტი წლისა და ამ წელსვე დაინიშნა გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ მეორის დაზე, სოფიაზე. ამ გვარმა ორ დიდ ხელმწიფეებთან ნათესაობრივმა კავშირმა კიდევ უფრო გაამხნევა საბერძნეთი მომავალი დიდებული სვე-ბედის საძიებლათ. თვით კაროლი გიორგი პირველი ძალიან საყვარელი მეფეა ბერძნებისა, რადგან ის თავის ხალხის სურვილს მისდევს და იმის ბედნიერების გულისთვის თავს წირავს.

ამით აიხსნება ის გარემოება რომ გიორკი პირველი ამხედრდა კრიტის შესაერთებლათ და არ შეუშინდა არც ოსმალეთს და არც ევროპის სახელმწიფოთა შეერთებულ ძალას. იმან კარგათ იცის, რომ მისი ძლიერი მოყვრები ვერ გაწირევენ მას და, რაც უნდა დროებითი დაბრკოლება წინ გადაეღობოს, ბოლოს მაინც მოგებული დარჩება. ის კარგათ გრძნობს, რომ კრიტის კუნძულსაც შემოიერთებს და თეალ-საჩინო სამკვიდროც დარჩება მას ოსმალეთის სახელმწიფოდან.

გ. წ.

—

ამ სტატიის მასალათ გვქონდა:

Die oligarchische Partei und die Hetairien in Athen, ფიშერისა.

Die Geschichte Griechenlands etc. Fallmerayer.

Die Geschichte des Königreichs Griechenlands, Schmeidler.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

ვერის წმიდა ნიკოლოოზის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი სოლომონ ელიოზიშვილი, ამით აცხადებს, რომ მთავრობის ნებართვით მისდამი რწმუნებულ ეკლესიასთან იხსნება საკვირაო სკოლა კვირას, მარტის ცხრას, და თხოვს მრევლთ მობძანდენ წირვას შემდეგ ხსენებულ ეკლესიის სამრევლო სკოლის დარბაზში. სწავლა და სასწავლო ნივთები უფასოა. სკოლაში ასწავლიან შემდეგ საგნებს: სალმრთო რჯულს, რუსულ წერა-კითხვას, ქართულ ენას, ანგარიშს, სამშობლო გეოგრაფიას, ისტორიას და გალობას.

***

ქუთაისიდან სწერენ გაზეთ „Нов. Обоз."-ეს: აქაურ სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას სხდომა ჰქონდა, რომელმაც ქუთაისის სამეურნეო სკოლის საქმე განიხილა. ოთხი წელ წადია, რაც ეს სკოლა არსებობს, დღემდის კი წესდება არ ჰქონდა შემუშავებული. სკოლის შეგირდმა სამი წლის განმავლობაში უნდა შეისწავლოს თეორიულათ და პრაქტიკულათ თითქმის ყველა სამეურნეო საგანი; ამის შედეგია, რომ სკოლას გამორკვეული ხასიათი არა აქვს, მტკიცე და საფუძვლიან ცოდნას არ აძლევს მოწაფეებს. განყოფილებამ სამინისტროს თხოვა, ნება მოგვეცით ქუთაისის სამეურნეო სკოლა, მევენახობისა და მეღვინეობის სკოლათ გადავაკეთოთო, ბაღოსნობის კურსის დამატებით. სამინისტრომ უპასუხა, თუ გსურთ, სურვილისამებრ გადააკეთეთ სკოლაო, ჩვენ კი იმ ფულს, რასაც დღემდის გაძლევდით (3500 მან.) ვერაფერს მოვუმატებთო. განზრახვას მისი შესაფერი თანხა უნდა, ამიტომ სხდომაზე ახლათ შემუშავებულ წესდებაში შეტანილ იქნა: განსაკუთრებული ყურადღება სკოლამ მევენახობასა და მეღვინეობას უნდა მიაქციოსო.

***

გაზ. „Гражд."-ის სიტყვით ამ მოკლე ხანში უნდა გადაწყდეს პეტერბურგში კითხვა კავკასიაში უცხოელთა დასახლების შესახებ.

***

მთავრობამ ნება-დართო სახალხო კითხვების გამართვაზე წელს ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, ოზურგეთის და ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებლებში. საქმის ზედამხედველობა და პასუხი-გება ამ სასწავლებლების მასწავლებლებმა უნდა იკისრონ.

***

ჩვენ მოგვივიდა მოსკოვიდან სტუდენტ—პ. დგებუაძისაგან შემდეგი წერილი, ამხანაგების მონდობილობით გამოგზავნილი:

გიგზანით ნაჯარიმალ ფულს—ექვს მანეთს, მოსკოვში რამდენიმე ამხანაგების მიერ ერთმანეთ შორის მოგროვილს, და გთხოვთ ამ ფულით ჟურნალი „ჯეჯილი" ორ რომელსამე პირველ-დაწყებითი სკოლას ნახევარი წლის ვადით უგზავნოთ.

***

თბილისის კადეტთა კორპუსის მასწავლებელს, პ. ი. კნიპერს, განუზრახავს ამ დიდ-მარხვაში აქ ორი ლექციის წაკითხვა, საშუალო სასწავლებლებში ლა-

რიბ შეგირდების სასარგებლოთ. ლექციების საგანი შემდეგი იქნება: „სამეცნიერო პედაგოგიის კითხვები“ და „რაციონალური აღზრდის საფუძველი“.

***

ქ. თბილისს ახალი საკონსულო მიემატა, ავსტრო-უნგრეთის მთავრობა იყოლიებს აქ თავის წარმომადგენელ კონსულს, რომელიც უკვე დანიშნულია, ამ ჟამათ თბილისში იმყოფება და კანცელარია დროებით „ლონდონის“ სასტუმროში აქვს გამართული.

## „კვალის“ კორესპონდენცია.

დაბა ხაშური. უცნაური რამ არის ჩვენი დაბა. შეხედულობა ერთ-და იმავე დროს ქალაქისაცა აქვს დ. ოღრო-ჩოღრო სოფლისაც. ერთი მხარე ხაშურისა ე. ი. რკინის გზის სადგურის მიდამო, მრავალ გვარი შენობებით შემკობილია. მის გარშემო კი სუყველაფერს სოფლის ფერი აძევს. სახლები ერთმანეთზე არიან მიჯგუფული; სახლებთან ახლო იმყოფება კალოები, საბძლები, ჯიხურები და სხვა ამნაირი სოფლური შენობანი. ყველა ეს ხაშურს მეტათ აუშნოებს. ამ უკანასკნელ ხანებში ყველა სოფლებში კალოები სოფელ გარეთ გაიტანეს, ხაშურს კი ამ მხრივ არაფერი ეშველა ჯერ-ჯერობით. საზოგადოთ ხაშური ყველასაგან მივიწყებულია. რკინის გზის სადგურზე მოხელეები არიან დაყენებულნი სიმშვიდის და მყუდროების დასაცველათ. თვით დაბაში არავინ ჩანს. ღამის ცხრა საათზე კაცი ვერ გაივლის ქუჩაში, ერთი ფარანი არ მოიპოვება. მცხოვრებლებისთვის არავინ ზრუნავს. რკინის გზის მოხელეებისათვის ყველაფერი კარგათაა მოწყობილი. იმათ აქვსთ თავიანთი აფთიაქი, ჰყავთ ექიმი, აქვსთ სალარო, პაწია სამკითხველო დ. სხვა. გარეშე ხაშურელები კი ყველა ამას მოკლებულნი არიან. აქაური გლეხი რომ ავათ გახდეს, ექიმი სურამში უნდა ეძებოს; სამკითხველოში თუ შევიდა, ფასი უნდა გადაიხადოს.

ხაშურში ორი სკოლა არსებობს: სასოფლო და რკინის გზისა. რკინის გზის სკოლაში იზრდებიან რკინი გზის მოსამსახურე ხალხის შვილები. მათ შორის უმეტესი ქართველობაა. ქართველი ბავშები თავიანთ სწავლას პირდაპირ რუსული ენით იწყებენ, ამ სკოლაში მოსწავლე ქართველმა ბავშმა არც ერთი ქართული ასო არ იცის.

დ—ო.

## სენატორი კონი და მისი აზრი კავკასიის ხალხების შესახებ.

დიდი ლაპარაკი და გაზეთებში ბაასი გამოიწვია სენატორის კონის მოხსენებამ იანვრის 26 პეტერბურღის სამოსამართლო სხდომაზე.

სენატორი კონი მობძანდა კავკასიაში 1895 წ. აპრილის დამდეგს იმ განზრახვით, რომ დაწვრილებით შეესწავლა, აქაური სასამართლო საქმეების განხილვით, თუ როგორ მდგომარეობაშია მართლ-მსაჯულება კავკასიაში, შეეფერება თუ არა ხალხის ზნე-ჩვეულებას თვით სამართალი, ან როგორი თვალით უყურებენ კავკასიის ხალხები სახელმწიფო მართლ-მსაჯულებას?

ამ განზრახვით სენატორმა კონმა დაჰყო თბილისში თვე-ნახევარი: მრავალი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი საქმეები განიხილა, თვით უმაღლეს მოსამართლეებთანაც ჰქონდა განუწყვეტელი ბაასი და ბოლოს იმათი მსჯელობის გავლენით შეადგინა თავისი აზრი, როგორც აქაური ხალხების ზნე-ჩვეულებაზე, მათ მართლ-მსაჯულების თვისებაზე, ისე კავკასიის სახელმწიფო სასამართლოთა საქმეების წარმოებაზედაც.

სენატორ კონის აზრით კავკასია დასახლებულია მრავალნაირი ერებით, რომელნიც ერთმანეთში განსხვავდებიან ენით, ზნე-ჩვეულებით, დებულებით და სამართლის გრძნობით.

ყველა ამ სხვა-და-სხვა მოდგმის, ენის და გამოხატულების ხალხებს აქვთ ერთი სახელმწიფო სამართალი, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო კანონს. ამ კანონს აქვს თავისი თვით-არსი აგებულება და შეხედულება ყოველნაირ საზოგადოებრივ წესის დარღვევაზე და დანაშაულობაზე.

ამ კანონის მუხლებს თავისებური განაჩენი აქვს შედგენილი ყოველნაირ ბოროტ-მოქმედებაზე და არ იწყნარებს თვით კავკასიის ერთა ზნე-ჩვეულებას, არ აქცევს ყურადღებას კავკასიის ერთა ზნეობრივს და მართლ-მსაჯულების გრძნობას. ბევრი დანაშაულობა და ბოროტ-მოქმედება, რომელიც კავკასიის ერის გამოხატულებით არც დანაშაულობათ და არც ბოროტ-მოქმედებათ არ ჩაითვლება, სახელმწიფო სამართალი თავისებური კანონების მიხედვით სასტიკათ სჯის და ამ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს კავკასიის ერთა სამართლიანობის გრძნობას. ამით წყდება შინაგანი კავშირი კავკასიის ერთა სამართლიანობას და სახელმწიფო მართლ-მსაჯულებას შორის. ასეთი უთანხმოება ჰბადებს მრავალ ბოროტ-მოქმედებას, უმართავს ხელს ცარცვა გლეჯას და სისხლის

ღვრას. სახელმწიფო სამართლით დასჯილი კაცი ხშირათ კავკასიის ერებს მიაჩნია მართალ კაცათ და არ აკლებს თავის მფარველობას, მაშინ როდესაც სახელმწიფო სამართალი მას დევნის, როგორც ავაზაკს, რომელიც არ დამორჩილებია სამართლის გადაწყვეტილებას. ამის გამო მრავლდება ესრეთ წოდებულ დამნაშავეთა განდგომილება და ბრძოლა მთავრობის და სასამართლოს მოხელეთა წინააღმდეგ.

ამას გარდა რადგან ყოველნაირი გამოძიება ხალხისთვის გაუგებარ ენაზე წარმოებს, ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ გამომძიებელი სხვანაირათ ჩაწერს ხოლმე თავის გამოძიებაში ხოლო მოწმეს კი სხვანაირათ აქვს ნაჩვენები. ეს წარმოდგება უმეცარი მთარგმნელებისაგან, რომელთაც კარგათ არ ესმისთ ის ენა, რომელზედაც წარმოებს გამოძიება. რადგან გამომძიებელს და დამნაშავეს, ანუ დანაშაულობის მოწმეს ერთმანეთის არა ესმით-რა, ამიტომ დიდი გამოურკვევლობა სუფევს სახელმწიფო მართლ-მსაჯულებაში.

სენატორ კონს ეს გარემოება თავისებურათ აუხსნია და ამბობს, რომ სახელმწიფო მართლ-მსაჯულება თუ შეცდომით განსჯის დამნაშავეს, ეს უნდა დაბრალდეს კავკასიის ხალხების ცუდ თვისებასო, რადგან კავკასიის ხალხებს ჩვეულებათ და ზნეობრივ თვისებათ გადაქცევიათ ცრუ მოწმობაო.

სენატორმა კონმა მიიღო-რა მხედველობაში სახელმწიფო მართლ-მსაჯულების შეუსაბამობა თვით კავკასიის ერთა მართლ-მსაჯულების გრძნობასთან, დაასკვნა შემდეგი აზრი: მომეტებული ნაწილი კავკასიის ერთა დანაშაულობისა იმის ბრალია, რომ თვით კავკასიის ერს თვისებათ გადაქცევია ცრუ-მოწმობა და მასთან უმრავლესი ბოროტ-მოქმედება კავკასიის ერთა შორის, როგორც მაგალითათ სისხლის ღვრა და მტაცებლობა, მიეწერება კავკასიის ერთა მიერ იარაღის ტარებასაო. ყოველი ჩხუბი და წინააღმდეგობა სისხლის ღვრით თავდება, იმიტომ რომ ყოველი კავკასიელი იარაღს ატარებს და მზათ არის იხმაროს თავის მოპირდაპირის წინააღმდეგო.

აქედან სენატორ კონს გამოჰყავს შემდეგი დასკვნა: თუ გვინდა, რომ კავკასიაში სისხლის ღვრა და მტაცებლობა შემცირდეს, ხალხს უნდა ავყაროთ იარაღი და ცრუ-მოწმობითი თვისება კი განათლებით მოვსპოთო.

მაგრამ რითი შევუფარდოთ ამ დასკვნას თვით კონის აზრი შესახებ იარაღის ტარების ჩვეულებაზე. აი, როგორ ახასიათებს ის კავკასიელთა მიერ იარაღის ტარების ჩვეულებას.

„კავკასიაში ყველას ჩვეულებაა იარაღის ტარება, თუმცა სახელმწიფო კანონით ეს მკაცრათ დაშლილია. მაგრამ კავკასიელს მაინც ვერ გაუგია, რათ უშლიან მას იარაღის ტარებას. ის ხომ დაბადებიდანვე შეჩვევია ამ იარაღს. იმდენათ შეჩვეულია, რომ იარაღის აყრა დიდ უბედურებათ მიაჩნია. იარაღი მისი პიროვნული კეთილ-შობილების დამამტკიცებელია. ის არი სიმბოლო კეთილშობილური ღირსებისა. ხშირათ შეხვდებით თქვენ კავკასიაში ისეთ კაცს, რომელიც დაფლეთილ-დაძონძილ ტანისამოსით დადის, მაგრამ იარაღი კი ვერცხლით აქვს შეჭედილი და მამა-პაპის ნაანდერძევია, რომელიც მემკვიდრეობით გადადის შთამოებაზე“.

თუ კი ხალხი თავის განუშორებელი კეთილშობილების კუთვნილებათ რაცხს მამა-პაპისგან ნაანდერძევს იარაღს, მაშ მისი ჩამორთმევა, ხომ პირადი ღირსების ახდა, მისი ზნეობრივათ დამცირება, სრული გაუბედურება იქნება. ეს რომ მოხდეს სახელმწიფო მართლ-მსაჯულების წყალობით, მაშინ ხალხი ხომ სულ უსამართლოთ დასახავს იმ დაწესებულებას და მის გულში ამოიფხვრება ყოველი ნდობა ასეთ დაწესებულებაზე. საკვირველია, სენატორმა კონმა თავისსავე სიტყვებს რატომ არ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და რატომ გამოიყვანა თავის მოსაზრების სულ წინააღმდეგი დასკვნა?

მიუცილებლათ კავკასიის ერს ასეთი დასკვნა მეცნიერი მოსამართლისა არაფრათ ამებია და მისი გულის-პასუხი ჩინებულათ გამოთქვა კავკასიელმა მამულიშვილმა, ბ-ნმა ყარაბეგოვმა. მაგრამ სანამ მის სიტყვებს მოვიყვანდეთ ჩვენ გვინდა რამდენიმე მოსაზრება წარმოვთქვათ თვით სენატორი კონის მოხსენების შესახებ.

მან თვითონ დაამტკიცა, რომ სახელმწიფო მართლ-მსაჯულება ვერ ეთანხმება კავკასიელ ერთა სამართლიანობის გრძნობას და ამის გამო კავკასიელი ნდობით ვერ უყურებს ამ მართლ-მსაჯულებასო.

ამ მოსაზრებას, რასაკვირველია, შესაფერი კითხვები მოსდევს: ერი უნდა იყოს მართლ-მსაჯულებისათვის გაჩენილი, თუ მართლ-მსაჯულება ერისთვის?

მეცნიერება ამას გვეუბნება, რომ ყოველნაირ მართლ-მსაჯულებას თავისი ნიადაგი აქვს, რომელზედაც იგი აღმოცენდება და დამწიფდება. ხოლო ეს ნიადაგია თვით ერის ცხოვრება, რომელიც მართლ-მსაჯულებას ზრდის და მისი დაღაც ასეთია; მხოლოთ ამ შემთხვევაში იქნება მართლ-მსაჯულება ერის ცხოვრებასთან შეთვისებული, ერის ნდობისა და გულის მომგები. მართლ-მსაჯულება, რომელიც ხალხის ზნე-ჩვეულებაზე, მის კულტურულ მსვლელობაზე და ხასიათზე არ არის დაკავშირებული, გადმონერგილია უცხო ცხოვრების მიუკარებელ თვისებებ-

ზე, მაშინ მართლ-მსაჯულება ვერ იკიდებს ხალხში ფესვს და წარმავალია. ეს მეცნიერული განმარტება ჩვენზე უფრო ღრმათ მეცნიერ სენატორ კონს უნდა ქონდეს შეგნებული და, თუ მან ამ გარემოებას გონების თვალი აარიდა, ეს უსათუოთ არა მეცნიერულ და ცალმხრივ მოსაზრებას მიეწერება. აი, ეს ნაკლულევანება ღრმათ გაჰკიცხა ბ-ნმა ყარაბეგოვმა, რომლის მოყვარულმა გულმა ველარ მოითმინა არა მეცნიერული დასკვნა სენატორის კონისა და მხურვალე გრძნობით უპასუხა:

,,დროა შეიგნონ ესრეთ წოდებულთ მამულისშვილთა, რომ რუსეთის სახელმწიფო მრავალი გვარი სარწმუნოების და მრავალ გვარ ენათა მოლაპარაკე ტომების საერთო სამშობლოაო, რომ ვინც რუსეთის სამფლობელოში ცხოვრებს, ის რუსეთის მოქალაქეთ იწოდება და თანასწორათაც უნდა წვედეს სახელმწიფო მოთხოვნილებათა უღელსო; მაშასადამე თანასწორი უფლებათაც უნდა იყოს აღჭურვილი. ხოლო ვინც კი სხვა-და სხვა ტომებს არჩევს და გაჰყოფს ,,რუსებათ‘‘ და ,,არა რუსებათ‘‘, რომ ამით დაამყაროს ერთი მეორეზე მეტ-ნაკლები უფლება, რომ ერთ ნაწილს მეორე ნაწილი დაახაგვრინოს, ისინი ყოველი განხეთქილების წინამორბედნი არიან, ისინი ახდენენ ერთმანეთ შორის განცალკევებას; ისინი სამოსამართლო წყობილებაშიაც თესვენ ღვარძლს დალუპვისას და საზოგადოების დაშლისას. მაგალითი თვალ-წინ გვაქვს...

ყოველმა ნამდვილმა მამულისშვილმა მთელი თავის ღონისძიება იმას უნდა მოანდომოს, რომ იქადაგოს შემდეგი: უთანასწორობა, ერის ერთი ნაწილის მეორე ნაწილზე გაბატონება, გადამტერება, გვარის გვარზე აღდგენა უბედურებისა და დაცემის მეტს არას შეგვძენსო‘‘.

გ. წერეთელი.

## საშემოდგომო მელოდია.

შემოდგომის გლოვის ზარი,
სამწუხარო და საზარი,
ვით ჯალათი თავის მსხვერპლსა,
მიწამლავს სულს და მიკლავს გულს,
მაგონებს-რა დროს დაკარგულს,
და ვაფრქვევ მე ცხარე ცრემლსა!
არც ნატვრაა, არც იმედი,
დახშულია ჩემი ბედი.
გაზრდაც რომ ვერ მოვასწარი,
ისე დავჭკნი, დავჭკნანდი
და რაღა ვარ?—მხოლოთ ლანდი,
არც ცოცხალი და არც მკვდარი!
თუ, სანამდის დამწიფდება,
ნაყოფს მატლი გაუჩნდება
და დაჭკნება, ის ნაყოფი,
არ სჯობია, მოიწყვიტოს,
სეზე ტყვილათ არ ეკიდოს
ჭიანი და ავათმყოფი?
არ სჯობდა, მეც მომკვდარიყავ,
თუ, რაც უნდა ვყოფილიყავ,
ვიქნებოდი იგი ვერა?
თუ თან მდევდა მარად შხამი
და ერთიც ტკბილი წამი
სიცოცხლეში არ მეწერა?..
შემოდგომის გლოვის ზარი,
სამწუხარო და საზარი,
მიწამლავს სულს, მიკლავს გულსა,
და ვაფრქვევ მე ცრემლს მდუღარეს,
ვტირი-რა ჩემს წარსულს მწარეს
და მალ-ღონეს დაკარგულსა!..

დუტუ მეგრელი

## ელიზა ოჟეშკო და მისი აზრი ქალებზე.

ქალების უკანასკნელ კონგრესზე ბერლინში დარიგებული იყო მრავალი წიგნაკები, რომელიც შეიცავდა სხვა-და-სხვა საინტერესო კითხვების გარჩევას. ყველა ამ წიგნაკებზე უფრო საყურადღებო გამოდგა ,,ღია წერილი‘‘ ცნობილი პოლონელი მწერალი ქალის, ელიზა ოჟეშკოსი ამ სათაურით: ,,ქალებისა და კაცების უფლების თანასწორობა ცოდნისა, შრომის და ადამიანურ ღირსების წინაშე‘‘. სხვა რომ არა იყოს რა, ეს წერილი მარტო იმითიც არის შესანიშნავი, რომ გვაცნობებს საუკეთესო მწერალი ქალის აზრს ქალების შესახებ.

ელიზა ოჟეშკო თავისებურათ უყურებს ამ კითხვას; მართალია, ის კანონიერათ და მიუცილებელ საჭიროებათ თვლის, რომ ქალებმაც შეიძინონ ცოდნა და ნივთიერი დამოუკიდებლობა, მაგრამ ამაზე უფრო მაღლა ის აყენებს ზნეობას; ჰსურს, უპირვე-

ლესათ კაცობრიობის ზნეობრივ მოქმედ ძალას ხედავდეს ქალში, იმისგან მოელისამ ცოდვილი ქვეყნის განახლებას და ენატრება, რომ ქალებმა შეიგნონ ეს და პირველ ადგილზე თავის ზნეობრივი წინსვლა დააყენონ, რომ ამითი ზნეობრივათ წინ წასწიონ მთელი ქვეყნიერებაც; თუ ქალები მარტო ცოდნის შეძენას გადაჰყვენ, რომ მითი მოიპოვონ ნივთიერი დამოუკიდებლობა და დაივიწყეს უფრო მაღალი და უფრო ფართე მისწრაფება, მაშინ საქმე გაკეთების მაგიერათ უფრო წახდება. რასაკვირველია, ქალები ახლა ბევრათ უფრო ნასწავლები და დამოუკიდებელნი არიან, ვიდრე უწინ იყვენ,—ამბობს მწერალი ქალი,—მაგრამ უნდა ვიკითხოთ, „უკეთესები" გახდენ თუ არა? გახდენ თუ არა უფრო სამართლიანი, უფრო კეთილი, თავგანწირული და მოწყალე სხვისთვის, სასტიკი მსაჯული თავის თავისთვის? უფრო მაღლა დგანან თუ არა განვითარებული შვილი-შვილები განუვითარებელ ბებიებზე?

აი, ამ კითხვებს იძლევა ელიზა ოჟეშკო თავის წერილში და თითონვე უპასუხებს, არაო. ქალები არამც თუ არ გაუმჯობესებულან ზნეობრივათ, საჭიროთაც არ თვლიან თავისთვის ამნაირ გაუმჯობესობას. ყველგან ვხედავთ ცოდნის და გონებით განვითარების შეძენის სურვილს, (ვიმეორებთ, ძალიან საჭირო და სასიამოვნოს), ზნეობრივი ამაღლება კი არავის ახსოვს.

კაცობრიობას სამი იდეალი აქვს:—ამბობს შემდეგ ელიზა ოჟეშკო,—ჭეშმარიტება, შვენიერება და კეთილ-მოქმედება. უწინდელ დროში ქალებისათვის მარტო ეს ორი უკანასკნელი იყო საჭირო, შვენიერება და კეთილ-მოქმედება, ჭეშმარიტების შესახებ კი დარწმუნებული იყვენ, რომ ქალი იქიდან ვერც თავისთვის და ვერც სხვისთვის სასარგებლოს ვერას გამოიტანდა; ამ ჭეშმარიტების შესაგნებ ჭკუა გონებას არამც თუ არ თვლიდენ ქალისთვის საჭიროთ, დარწმუნებულიც იყვენ, რომ ის მხოლოთ ხელს შეუშლიდა ქალების სიკეთეს და შვენიერებას; კაცებისთვის კი, სულ წინააღმდეგ, არც კეთილ-მოქმედება იყო საჭირო, არც სიშვენიერე, ოღონდ ჭკუა-გონება განვითარებული ყოფილიყვენ. ახლა ვნახოთ, რა საზომი ჰქონდათ მაშინ ქალების სიშვენიერისა და კეთილ-მოქმედებისთვის.

რასაკვირელია, სიკეთე, გონიერი გულკეთილობა, ძალიან დასაფასებელია, მაგრამ არის სხვა ნაირი გულკეთილობა, ინსტინქტიური, ანგარიშ მიუცემელი, რომელიც სრულებითაც არ არის პირველივით მაღლა დასაყენებელი. იგივე ითქმება სიშვენიერეზედაც; უსულდგმულო, უაზრო შვენიერებას ქვეყანაში უფრო უბედურობა და დაღუპვა შემოაქვს, ვიდრე ბედნიერება და წინსვლა. ქალები კი, რომლებიც ჩამოცილებული, დაშორებული იყვენ ჭეშმარიტებას, ახორციელებდენ მხოლოთ ინსტინქტიურ სიკეთეს და ნივთიერ, უსულო სიშვენიერეს.

ამისთანა მდგომარეობა ქალებისა გაგრძელდა რამოდენსამე საუკუნეებს. მაგრამ მაინც, ხან-და-ხან, გამოჩნდებოდენ ხოლმე ძველათაც ზოგიერთი ქალები, პატრიოტულ გრძნობებით გამსჭვალულნი, გმირები, ფილოსოფოსები, ქრისტიანობის შამოღების დროს ტანჯულები და სხვანი... ბრწყინვალე მეტეორებსავით გამოჩნდებოდენ ხოლმე ამისთანა ქალები და თავის გამოჩენით ამტკიცებდენ, რომ იქ, სადღაც, ძირს, დამალული არის შეუწყვეტელი და დაუშრეტელი წყარო ქალის ნამდვილი სიკეთის და ჭკუა გონებრივ განვითარების. მაგრამ ხშირათაც ხდებოდა, რომ ეს დაჯაბნებული ქალის ძალ-ღონე ვერ პოულობდა თავისთვის კეთილ გზას და მაშინ, გმირულ მოქმედების მაგიერათ, ჩვენ ვხედავთ ცბიერებას და მზაკვრობას.

აქედან ადვილათ აიხსნება, რომ ამ ჩვენ მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც ასე გავრცელდა სწავლა განათლება და განვითარება, ქალებმა ასე აიმაღლეს ხმა და მოითხოვეს, მათთვისაც მიეცათ ცოდნისა და დამოუკიდებლობის შეძენის ნება. რასაკვირველია, ისინი მაშინვე გაეშურენ მეცნიერების ტაძრისკენ, რომლის კარებიც უწინ დახურული ჰქონდათ; ისეთი მიმზიდველობა, ისეთი მომხიბლაობა ჰქონდა ქალებისთვის ამ მათთვისაც გახსნილ მეცნიერების ტაძარს, რომ მის შედარებით სიკეთე სრულებით გამოხუნდა, დაიჩრდილა და სადღაც შორს, უკან გადადგა. შეიძლება ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ქალებს იმდენს უქებდენ შვენიერებას და კეთილ-მოქმედებას, რომ ისინი დარწმუნდენ, ამ მხრით მიაღწიეთ უმაღლეს წერტილამდის და უფრო შორს წასვლა შეუძლებელი არისო.

ამ ნაირათ ყველგან იჩინა თავი ქალების ძმურმა მოძრაობამ, ყოველგან მიისწრაფოდენ ქალები

ითვისებს გადაგვარების აზრს, მას ურიგდება და ბოლოს უნებლიეთ მასვე ემორჩილება. აგრეთვე გადმოცემა და სხვა-და-სხვა თქმულება წინაპრების შესახებ წარმოგვიდგენს ხოლმე მათ მეტი შვენიერებით და ძლევა-მოსილობით. ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ძალ-ღონე ცოცხალ არსებას შევადაროთ და ამ შედარებით დავრწმუნდეთ, უმჯობესია იგი ჩვენზე თუ არა. მაგრამ მკვდრების შესახებ კი ამ შედარებასა და შეწონვას, გაჯიბრებას ნიადაგი არა აქვს. ამიტომ, რასაც მოგვითხრობს თქმულება შესანიშნავ წინაპრებზე, გვჯერა და მათდამი მოკრძალებას, მეტ პატივისცემას გვაგრძნობიებს ხოლმე: მოგონებას არა ნაკლებ შეუძლია გაადიდოს, გაახვიადოს და შეუხამებელი შარავანდედით მოფინოს საგანს, მოვლენას, ვიდრე ფანტაზიას, საოცნებო მოჩვენებას. ბოლოს ეს სამი მიზეზი—რელიგიური წარმოდგენა, წინაპართა კულტი და წარსულის წინაშე თაყვანება—ერთმანეთს ხელს მისცემენ, შეერთდებიან, რომ ადამიანის გონებიდან ძირიან-ფესვიანათ აღმოკვეთონ ყოველ გვარი აზრი, წარმოდგენა განვითარებისა, წინმსვლელობისა. ცხადია, რელიგიური წარმოდგენა წარსულის მათაყვანებელია, მის წინაშე მუხლს იდრეკს. განვითარების მოძღვრება კი, პირ-იქით წარსულს უფრო დაბლა აყენებს აწმყოსთან შედარებით და უკანასკნელს მომავალთან შედარებით. —ასე სულ სხვა-და-სხვა გზა და კვალი რელიგიური რწმენისა და ევოლიუციონური მოძღვრებისა, პირველი ჰგონებს, რომ ყველაფერი წარმოშობილია ერთბაშათ, გრძნობის წყალობით. შექსპირი ტყუილათ კი არ ამბობს:

„ხომ იცი, ჭკუით ვმოქმედობთ ჩვენ და არა გრძნობით, და ხანი უნდა საკმარისი ჭკუით მოქმედებას". [3]

ამიტომ სრული ჭეშმარიტების გამომთქმელია ბიუხნერის ის სიტყვები, რომელნიც ჩვენი სტატიის ეპიგრაფათ ამოვწერეთ. [4]

განვითარების, ცვალებადობის იდეა ორისა და სამი დღის საქმე როდია, იგი ნელ-ნელა იკაფავდა გზას, ვრცელდებოდა თანდათან და მიდამოს ეფინებოდა. ზევითაც მოვიხსენეთ, რომ ამ იდეის მიმდევარი და წარმომადგენელი ძველი დროის ფილოსოფოსთა შორის მხოლოთ ეპიკურია. ეპიკურმა, ამ პირველმა ევოლიუციონურმა არა თუ ყოველ გვარი ცრუ-მორწმუნეობა გადევნა ადამიანის გონებიდან და მის ნაცვლათ განვითარების აზრი შთააგონა, არამედ მანვე პირველათ მთელი ოთხი მიზეზი, ამ ცვალებადობის წამომშობელი და გამომწვევეელი, დაასახელა. ასეთი მიზეზებია: აუცილებლობა, რომელიც წინსრბოლას გვაიძულებს; [5] ცდა, ანუ გამოცდილება, რომელიც გვამცნევს, გვასწავლის; აზროვნება, რომელიც ცნებათ განავითარებს და მეცნიერებას ჰქმნის, და ხანი, დრო. მაგრამ ეს მოძღვრება დროებითათ დაჩრდილა სარწმუნოებითი გრძნობით გატაცებამ. ხოლო განახლების დროიდან კვლავ აღორძინდა, კვლავ ფეხი მოიკიდა, ცხოვრებასა და ადამიანის გონებაში ფესვი ღრმათ და მაგრათ გაიდგა, და დღეს ეს მოძღვრება ისე გაგვიჯდა ძვალსა და რბილში, ისე შეგვისისხლ-ხორცდა, რომ ჩვენთვის თითქმის გაუგებარია, თუ ასეთი მარტივი აზრი, ამდენ ხანს რატომ ვერ შეითვისა ადამიანმა. დღეს ეს მოძღვრება ისე მტკიცეთ არის დამყარებული შესანიშნავ მეცნიერთა ბეჯითობითა და მუყაითობით, რომ მისი შერყევა შეუძლებელია...

ევოლიუციონური მოძღვრების დამამტკიცებელ საბუთებს თანამედროვე ბუნების მეცნიერული სწავლა წარმოგვიდგენს ხოლმე. ამიტომ ჩვენი სურვილია, მკითხველებს წარვუდგინოთ ერთი თავი—ამ

---

[3]) ის. ოტელლო გვ. 56.

[4]) ჩვენში კი ჯერ ყველას როდი აქვს შეგნებული, რომ სარწმუნოება და მეცნიერება ერთმანეთის უარისმყოფელნი არიან. არა თუ ყველას, იმათაც კი, რომელნიც ვითომ-და ქართველობის აზროვნებას თავში უდგანან და მას მეთაურობენ, ეს აზრი შეუთვისებელი და შეუგნებელი ჰგონიათ. თუ არ შეუგნებლობისა, მაშ რისი მაჩვენებელია რაღაცა „გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება?" მართლაც რა არის ეს, თუ არ ლიტონი სიტყვა, აზროვნების წინააღმდეგი და ლოგიკურათ შეუძლებელი, წარმოუდგენელი? ეს ფრაზა რითია უმჯობესი ასეთი ფრაზებისა: გამთბარი ყინული, ცოცხალი ცხედარი? ცხადია, რომ ყველა ეს ფრაზები ძალათ არიან გადაბმულნი და ორ სრულიად საწინააღმდეგო, ერთი-მეორის მომსპობელ ცნობიდან არიან შედგენილნი.

[5]) საჭიროა მკითხველმა მოიგონოს სპენსერის „დაუდგრომლობა ერთგვარობისა". ის. Гербертъ Спенсеръ. Основныя начала ნაწ. II. თავი XIX.

ხანათ სულ მცირე ნაწყვეტი ბიოგრაფიისა, საიდანაც საკმაოთ გამოჭვიოდეს, ნათლათ მტკიცდებოდეს ეს შეუჩერებელი ცვალებადობა, დაუსრულებელი განვითარება. წინდაწინვე კი მკითხველების წინაშე ბოდიშს მოვიხდით: შეიძლება ყოველგან და ყოველთვის ისე ცხადათ და ნათლათ ვერ გამოვთქვათ ის, რისიც თქმა საჭირო იყო. იმედია, მკითხველი მიმხვდარი იქნება, რომ ეს სიძნელე და გამოთქმის სიბუნდე შედეგი იქნება არა ჩვენი სიზარმაცისა და დაუდევრობისა, არამედ იმ გარემოებისა, რომ ჩვენ, ქართველებს, ჯერ საზოგადოთ არც ერთ მეცნიერებაში და მით უმეტეს ბუნების მეცნიერებაში საკმაოთ გარკვეული, ყველასაგან მიღებული ტერმინები არ მოგვეპოვება. მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა ბევრ გვარია. მაგრამ ახლა აქ ამის გამოკვლევის დრო და ადგილი არ არის. ჩვენდა-თავათ გულ-წრფელათ ალეიარებთ, რომ ყოველ ძალასა და ღონეს ვიხმართ, ცდას არ დავაკლებთ, არაფერს დავიშურებთ, რომ აზრი ცხადათ, მკაფიოთ და გასაგებათ გამოვთქვათ და ტერმინებიც, რამდენათაც შესაძლებელი იქნება, მომარჯვებული და შესაფერი ვიხმაროთ, გამოვძებნოთ. ახლა კი სმენა და... გაგონება...

ფხს.

## პოლიტიკური ამბები.

* * *

ევროპის სახელმწიფოებმა პირი შეკრეს კრიტის საქმეში და საბერძნეთს თავისი გადაწყვეტილება, საერთო ნოტა, წარუდგინეს. საბერძნეთმა იმათ შემდეგი პასუხი მისცა. საბერძნეთის მთავრობა იმ აზრისაა, რომ ევროპის სახელმწიფოების პროექტი, კეთილი სურვილით გამოწვეული, კუნძულ კრიტზე თვითმართველობის შემოღების შესახებ მიზანს ვერ მიაღწევს და, სხვა ამგვარი პროექტები, ტყუილათ ჩაივლის. სახელმწიფოთა წინადადება ვერ განხორციელდება და კრიტზე არეულობა და ანარხია არ მოისპობა. ამიტომ საბერძნეთის მთავრობა მხოლოთ ერთათ ერთ გზას ხედავს ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ — კრიტის საბერძნეთთან შეერთებას. რადგან კრიტის წყლებზე ევროპის სახელმწიფოთა შეერთებული ფლოტია, საჭირო არ არი, რომ საბერძნეთმა იქ თავისი გემები იყოლიოს. კუნძულზე ბერძნების ჯარის დატოვება კი სასურველია წესიერების დასაცველათ.

ბოლოს საბერძნეთის მთავრობა თხოვს ევროპის სახელმწიფოთ, თვით კრიტის ხალხს დაეკითხეთ, როგორი მართველობა ჰსურსო.

* * *

კრიტის მეამბოხეთა მეთაურებმა თანხმობით განუცხადეს ევროპის სამხედრო გემების უფროსებს, მხოლოთ იმ შემთხვევაში დავყრით იარაღს, თუ ჩვენი კუნძული საბერძნეთს შეუერთდებაო, თუ არა და სული ბრძოლაში უნდა დავლიოთო.

* * *

საბერძნეთის მეფეს წარუდგა კრიტის კომიტეტის დეპუტაცია და კრიტის საბერძნეთთან შეერთების შესახებ ადრესი მიართვა. მეფე გიორგიმ უპასუხა: „ამ საქმის განხორციელება მხოლოთ თქვენზეა დამოკიდებულიო. მტკიცეთ თუ დაიცავთ თქვენ საქმეს, ევროპის სახელმწიფოებიც იძულებულნი გახდებიან დაგითმონ, რასაც თხოვთო. ევროპის ხალხნი კი დღესაც თანაგრძნობას გვიცხადებენო“.

იტალიის ქ. ნეაპოლის მცხოვრებლებმა, აფრიალებული ბაირაღებითა და მუსიკით მოიყარეს თავი საბერძნეთის კონსულის სახლის წინ და აღტაცებული თანაგრძნობა გამოუცხადეს.

## ღია წერილი მოსკოველი სტუდენტების მიმართ.

თქვენ საპასუხოთ ჟურნალი „ჯეჯილის“ შესახებ მოგმართავთ ღია წერილით იმიტომ, რომ საბავშო საგანი ყველა ქართველისათვის ფრიად საყურადღებო უნდა იყოს.

მართალია თითქმის თქვენ გამაბედვინეთ ჟურნალი „ჯეჯილის“ ყოველ თვიურათ გამოცემა, მაგრამ, რასაკვირველია, მე არ ვფიქრობდი მარტო თქვენი მოწოდებული მასალით მკითხველის დაკმაყოფილებას და ძველი თანამშრომლების იმედიც მქონდა.

მე თითქმის იმედი გადამიწყდა, საყმაწვილო ჟურნალის არსებობის დღეები დათვლილი მქონდა, ვფიქრობდი, რომ საზოგადოება ყურს არ ათხოვებს, ერთი სიტყვით არ საჭიროებს ამ ჟურნალს და სწორეთ ამ დროს თქვენ, ჩვენმა მოსწავლე ახალგაზდობამ თანაგრძნობა გამომიცხადეთ, თანამშრომლობას დამპირდით მე შემრცხვა ჩემი სულმოკლეობისა, როგორ მიზამდა გული როდესაც მომავალი თაობა შველას მპირდებოდა თავი დამენებებინა და გავქცეოდი საქმეს. ამან მაიმედა ჩემი საყვარელი, მაგრამ უმადური საქმის გაგრძელება.

თქვენ მეუბნებოდით, რომ ადრე უფრო კაი მასალას ვბეჭდავდი და ნიჭიერი თანამშრომლები მყავდა მეც არ ვიცი, რა მიზეზით სწორეთ ამ წელს არ უნდა აეჩინათ იმათ ჩემთვის დახმარება. შრომის ფასს თუ გისმე ვაძლევდი 1896 წ. რატომ არ მივცემდი, როდესაც ახლანდელზე მეტი ხელის მომწერი მყავდა! „ჯეჯილის“ უფერულობა იმას უნდა მივაწეროთ, რომ ერთი ნომრის მასალა ორათ განაწილდა. ან იქნება მწერლები უგულოთ ეკიდებოდენ საქმეს, რადგან საყმაწვილო ლიტერატურა ისე რთული და ძნელია, რომ ბევრ ნიჭიერ და გამოცდილ მწერალსაც ხშირათ უძნელდება ყმაწვილების დაკმაყოფილება.

თქვენ მეკითხებით, რაგვარი მასალა გამოვიგზავნოთო, რადგან ზოგიერთი თქვენი მოწოდებული არ დაიბეჭდა.—ყველა, რაც ყმაწვილს მისცემს ცოდნას, გულში ადამიანურ და ნათელ გრძნობებს გაუღვიძებს (სიტყვებით და დარიგებით კი არა, არამედ ცოცხალი ფაქტებით) და ბავშს მოამზადებს ცხოვრების სარბიელზე გამოსასვლელად. ხშირათ უკეთესის ძებნაში მასალა გადადება კარგა ხნობით და უფრო ხშირათ იბეჭდება მასალის უქონლობის გამო ისიც, რაც დასაბეჭდი არ არი. ამიტომ დიდ მადლობას გიცხადებთ ყველას იმ მასალისათვის, რაც აქამდის მოგიწოდებიათ ჩემთვის და წელსაც მიგზავნით. იმის პასუხათ კი, თუ როგორ წავიყვან საქმეს ამ 1897 წ. უნდა მოგახსენოთ, ხელის-მომწერნი ისე მცირენი არიან, რომ ჟურნალის არსებობა განსაცდელშია.

თუ ჩვენი საზოგადოება საჭიროებს საყმაწვილო ჟურნალს და მხოლოთ „ჯეჯილის“ უვარგისობის გამო არ ხეირობს, რატომ სხვა არ იწყებს ახალი ჟურნალის გამოცემას. თუ ერთი წლის განმავლობაში კარგა წაიყვანენ საქმეს, მაშინ ხომ „ჯეჯილის“ არსებობა თავისთავათ მოისპობა.

ჯეჯილის რედაქტორ-გამომცემელი
ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

## საქველმოქმედო საქმე.

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ, ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემულ გაზეთ „კვალის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს ონის უფასო სამკითხველოს.

შემომწირველთა სია: ქ-ნი ი. ნ. ყიფიანისა, რომელმაც შეუგროვა 84 მ. 15 კ., ინსპექტორი ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების უფ. სავიჩი, რომელმაც შემოწირა მთელი წლის გაზეთი „Новое Обозрѣніе“ და ვ. ჯაფარიძე, რომელმაც 1896 წლის ჟურნალი „ჯეჯილი“ გამოგვიგზავნა.

ონის უფასო სამკითხველოს ანგარიში 1896 წლისა. სამკითხველოს ჰყავდა წევრათ 29 პირი და ამათგან შემოუვიდა საწევრო ფული 145 მან., წარმოდგენიდან —84 მან. 15 კ., წიგნების საკაზმავიდან 8 მან. 10 კ. და 1895 წლიდან იყო დარჩენილი 13 მან. 43 კ. სულ 250 მან. 68 კ., წლის განმავლობაში დაიხარჯა 242 მან. 36 კ. და დარჩა 1 იანვრისთვის 1897 წ. 8 მან. 32 კ.

სამკითხველოში წლის განმავლობაში შესულა საკითხავათ 1095 პირი, გატანილია წიგნები სახლებში 520 პირისაგან.

სამკითხველოს აქვს მოპოვებული თავისი საშუალებით და შემოწირულობით 400 საკითხავი წიგნი გარდა ჟურნალ-გაზეთებისა.

თავმჯდომარე კომიტეტისა ნ. მრევლიშვილი.
წევრნი დ. გოცირიძე.
პ. გამყრელიძე.

—

ქ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თქვენი პატივცემული გაზეთი „კვალის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ქ. ოზურგეთის მოყვარეს თ. ნ. თავდგირიძეს და ადგილობრივ სცენის მოყვარეთ, რომელთაც ჩემდა სასარგებლოთ ქ. ოზურგეთში გაუმართავთ წარმოდგენა. ხარჯს გარეშე შემოსული 50 მან. მე უკვე მივიღე თ. ნ. თავდგირიძისაგან.

ხარკოვის უნივ. სტუდენტი დავით მგელაძე.

—

ქ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთი „კვალის“ საშუალებით უგულ-

თადესი მადლობა გამოუცხადოთ ხარკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების მონდობილობით იმ ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს, რომელნიც ამ 1896 წლის განმავლობაში გვიგზავნიდენ უფასოთ ჟურნალ-გაზეთებს და მით შემწეობას გვაძლევდენ გვედევნებინა თვალ-ყური საქართველოს ცხოვრებისათვის.—მივიღეთ სრულათ ჟურნალები: „მოამბე“ და „ჯეჯილი“, და გაზეთები: „კვალი“ და „მწყემსი“. იმედი გვაქვს, რომ შემდეგშიდაც არ მოგვაკლებენ თავიანთ გამოცემების უფასოთ გამოგზავნას შემდეგი ადრესით: „Харьковъ. Въ общественную библіотеку. Студентамъ-грузинамъ“.

სტუდენტი დ. მგელაძე.

—

ქ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის შემწეობით მადლობა გამოუცხადოთ გიორგი ანდრიას-ძე ლაზარიშვილს, რომლის საფასით ჩემდამო რწმუნებულ კავკავის სკოლას მოსდიოდა შარშან და მოსდის წელსაც გაზეთი „კვალი“.

კავკავის სკოლის მასწავლებელი
დ. ბოცვაძე.

—

ქ-ნო რედაქტორო! გთხოვთ მადლობა გამოუცხადოთ თქვენი გაზეთის საშუალებით იასონ დავითის ძე ციციშვილს, რომელმაც შემოსწირა სალოლაშნის ეკლესიის გასაასხლებლათ 3 მან.

სარდიონ ამირეჯიბი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

## განცხადებანი.

1893 წ. 8 ივნისის, სატრაქტირო დებულების მე 34 §-ის თანახმათ გამგეობა სთხოვს მობძანდენ გამგეობის სადგურში: სასტუმროებისა (гостиница) და ბუფეტების პატრონნი ამა წლის 27 თებერვალს, ხუთშაბათს; რესტორანებისა და კაფე-რესტორანებისა 1 მარტს, შაბათს; დუქნებისა, სარდაფებისა, სადაც საჭმელებსაც ჰყიდიან და სასტუმრო ოთახებისა, სადაც სამზარეულოც აქვთ გამართული—3 მარტს, ორშაბათს, დილის 10 საათზე, რათა ქალაქის სასარგებლოთ დაწესებული სატრაქტირო გადასახადი ამა 1897 წლის ერთმანეთ შორის გაიწერონ. ხოლო ტრაქტირებისა, სასმელების დუქნებისა, ყავა-ხანებისა, საჩაიებისა თუ ცხელ საჭმელსაც ჰყიდიან, საკანდიტეროებისა, ადგილობრივ საჭმელ პეროჟნებისა, სანოვაგეთა დუქნებისა და ბაკლების პატრონთ, ქალაქის გამგეობა იმავე სატრაქტირო დებულების მე-33 §-ის თანახმათ სთხოვს მობძანდენ ამა გამგეობის სადგომში: 1) ტრაქტირების პატრონებს ამა წლის 17 თებერვალს, ორშაბათს; 2) სასმელების დუქნების პატრონებს—ამა წლის 18 თებერვალს, სამშაბათს; 3) ყავა-ხანებისა, საჩაიებისა, თუ ცხელ საჭმელებისაცა ჰყიდიან, საკანდიტეროებისა და ადგილობრივ საჭმელ პიროჟნების დუქნების პატრონთ—ამა წლის 19 თებერვალს, ოთხშაბათს; 4) სანოვაგეთა დუქნების პატრონებს—ამა წლის 20 თებერვალს, ხუთშაბათს და 5) ბაკლების პატრონებს—ამავე წლის 25 თებერვალს, სამშაბათს, დილის 10 საათზე, სატრაქტირო გადასახადის გამნაწილებელ წევრთა ამოსარჩევათ. (3—3)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** აცხადებს საყოველთაოთ, რომ 1897 წლის 18 მაისს დანიშნულ ტფილისის საბჭოს არჩევანის უმთავრესი სია უკვე შედგენილია და გამგეობამ დაიწყო შედგენა დასამატებელ სიებისა, რომელშიაც ჩარიცხულ იქნებიან ტფილისის ის სახლის პატრონნი და მემამულენი, რომელნიც ამ წლის 5 მარტამდე გადიხდიან მათზე დარჩენილ დაფასების გადასახადს 1897 წლის პირველ ნახევრისას.

(3—3)

## ექიმი გ. ი. ბადრიძე

მიიღებს ავათმყოფებს შუადღის 12 საათიდან 3 საათამდე. კირპიჩის ქუჩა სიმონოვის შესახვევში სახლი არაქელოვისა.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА

## „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

**на 1897 годъ.**

(четырнадцатый годъ изданія).

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

**съ доставкой и пересылкой:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| На 12 мѣсяцевъ | 10 р. — к. | На 6 мѣсяцевъ | 6 р. — к. |
| „ 11 „ | 9 „ 50 „ | „ 5 „ | 5 „ 25 „ |
| „ 10 „ | 8 „ 75 „ | „ 4 „ | 4 „ 75 „ |
| „ 9 „ | 8 „ — „ | „ 3 „ | 3 „ 50 „ |
| „ 8 „ | 7 „ 25 „ | „ 2 „ | 2 „ 75 „ |
| „ 7 „ | 6 „ 50 „ | „ 1 „ | 1 „ 50 „ |

Доз. ценз. Тифлисъ, 1 Марта 1897 г. Тип. М. Д. Ротиніанца — სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.



ჩილინდრები.

გონებრივ განვითარებისაკენ. საქებ-სადიდებელი არის ეს მოძრაობა, რომელსაც მიზნათ ჰქონდა მუდმივი მორჩილებისაგან განთავისუფლება, სილარიბისაგან და ნივთიერ დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევა. ჩვენ ყველა,—ამბობს ელიზა ოჟეშკო თავის რომანში, „ქალის ხვედრი“, რომელმაც ერთ დროს დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ საზოგადოებაზე,— ჩვენ ყველა ვეხმარებოდით ამ საქმეს სიტყვითაც და საქმითაც; ყველა დავრწმუნდით, რომ ეს მოძრაობა კანონიერი იყო; სკოლამ მოგვცა გონებრივი განვითარება, დაგვაწაფა ჭეშმარიტების წყაროს და ამასთან ერთათ დამოუკიდებლობაც მოგვანიჭა. მხოლოთ ერთი რამ არის გასაკიცხი ამ მოძრაობაში: გონებრივ განვითარებით გატაცებაში ჩვენ დავივიწყეთ ზნეობრივი განვითარება, დავივიწყეთ სამართლიანობა, სიკეთე, სიყვარული, ზნეობრივი სიწმინდე, სურვილების შეკავება და მათი დამორჩილება მაღალ აზრებისათვის და მიზნებისათვის, ძმური მუშაობა ქვეყნიერების საკეთილდღეოთ, ერთი სიტყვით ჩვენ დავივიწყეთ ყველა ის თვისებები, რომლებიც მიუცილებელი საჭირო არიან გონიერ და ღირსეულ ადამიანისათვის.

ამას შემდეგ ელიზა ოჟეშკო არჩევს ახლანდელ ქალების სხვა-და-სხვა დასს; პირველათ ის აღნიშნავს მდიდარი ქალების დასს, იმ ქალებისას, რომელთაც შეუძლიათ უშრომოთ, ნებიერათ იცხოვრონ. ამ ქალებს ეშინიათ, უსწავლელობის და განუვითარებლობის სახელი არ გაუვარდეთ და ამიტომ ესწრაფვიან სწავლის შეძენას. ამ დასის ქალები უმეტეს ნაწილათ ქარაფშუტები არიან, არავისი ჯავრი არა აქვთ, თავისი თავის და თავისი სიამოვნების მეტი არა ახსოვთრა და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ საზოგადოების ინტერესებს, საზოგადოების მდგომარეობას. ამისთანა ქალები მიემსგავსებიან იმ ჰეტერებს, რომლებიც ჰხიბლავდენ ადამიანს არფის ტკბილ-ხმოვანებით და მოსწრებული, ხშირათ ჭკვიანური სიტყვა-პასუხით, მაგრამ რომლების უმთავრესი მიზანიც იყო—რაც შეიძლება მეტი სიამოვნების და მხიარულების მოპოვება. რა საქმითაც უნდა დაჰფარონ ამ დასის ქალებმა თავისი ნამდვილი უსაქმურობა, რა სახელებიც უნდა დაირქვან —ისინი მაინც იყვენ და არიან ჰეტერები და სხვა არაფერი.

ის ქალებიც, რომლებიც დაეწაფვენ ცოდნისა და შრომის წყაროს იმის განუკითხავათ, თუ რა სარგებლობა შეუძლიათ მოუტანონ ამით საზოგადოებას, რომლებსაც მიზნათ მარტო თავის ნივთიერი სარგებლობა და საზოგადოებრივი კიბის უმაღლეს საფეხურამდის ასვლა აქვთ—არ არიან ქების ღირსნი; არ ითქმება მათზე, რომ ისინი მაღალ ზნეობრივ ხარისხზე დგანან, ისინიც თავის უსაქმურობას საქმიანობის ზეწარს ჰხურავენ. ამ ნაირი ქალების ტიპი ძველათაც იყო ცნობილი და მათ მაშინ „მინერვას თუთიყუშებს“ ეძახდენ.

არის კიდევ ნიჭიერი და გონიერი ქალების დასი, ქალების, რომლებიც ვერაფერში იყენებენ თავის ცოდნას, რადგანაც ხასიათის სიმტკიცე აკლიათ და ვერ უძლებენ ათასგვარ შეცდომას, ათასგვარ გატაცებას.

საუკეთესო ამ ქალებთაგანი დგანან თუ არა იმდენათ მაღლა უწინდელ ქალებზე ზნეობრივათ, რამდენათაც მაღლა დგანან გონებრივ განვითარებით?

კაცებმა, —განაგრძობს ელიზა ოჟეშკო, —ბევრი ნივთიერი და გონებრივი სარგებლობა მოუტანეს ქვეყანას; პირვანდელ ველურ მდგომარეობისაგან მათ აამაღლეს კაცობრიობა ახლანდელ მდგომარეობამდის, საუკუნეობითი შრომით და მეცადინეობით გაუჩინეს მათ ქვეყნიერებას ცოდნის და გონების წყაროები, ნივთიერი მხრითაც ბევრათ უფრო მაღლა აიყვანეს; მათ გააჩინეს ხელოვნება, მეცნიერება, შრომა და ცოდნა. მაგრამ რა ჰქნეს მათ ზნეობრივი მხრით, როგორ გაავრცელეს სამართლიანობის, სიკეთის, სიყვარულის და თავგანწირულების გრძნობები?

და ამ კითხვის პასუხათ ელიზა ოჟეშკო გვიხატავს ახლანდელ საზოგადოების ზნეობრივ მდგომარეობას, მის ზნეობრივ დაცემას.—როგორი სიბნელით ვართ ჯერ ამ მხრით მოცული!—ამბობს მწერალი ქალი,—როგორი ამაღლება და გაუმჯობესობა გვეჭირვება! რითი არის, მაგალითათ, გატაცებული მეცხრამეტე საუკუნის ხალხი, რა აქვთ სალაპარაკო, რა ეინტერესებათ? ავიღოთ, თუ გინდ, ეიფელის კოშკი. ყოველი ერის წარმომადგენელი შესულა ამ კოშკზე, აღტაცებაში მოსულა, აუწერია ის და თანაც წაუღია ქვეყნის ყოველ კუთხეში მისი სურათი, ცხვირსახოცებზე და საწერ ქაღალდებზე გამოსახული. რა მოეწონათ მერე ამ კოშკში, რამ მიიქცია მათი ყურადღება, რამ მოიყვანა ისინი აღტაცებაში? იქნება შესანიშნავი ხელოვნებით არის აგებული? არა! გოთური ტაძრების ან პართენონის ამგებელი განცვიფრებული იქნებოდა ამ ჩვენი დროის ხელოვნების ნაწარმოების ხილვით. მაგრამ იქნება ეს კოშკი სასარგებლო არის, იქნება ის ანუგეშებს შეწუხებულებს, აფრთოვანებს უნუგეშოებს, ცხოვრების საშუალებას აძლევს ღარიბ-ღატაკებს? არა! არც ეს არის! მაშ რითი არის შესანიშნავი? მარტო თავის სიდიდით, თავის უზარ-მაზრობით, სხვითი არაფრით!

ნუ თუ ამაზე მეტი გემოვნების და ფანტაზიის დაცემა შეიძლება?

ყოველგან ფულის და მხიარულების ძებნაა, ყველა ცდილობს, მარტო თითონ დატკბეს და ისარგებლოს თავის ცხოვრებით... თვით მუზებიც კი ჩამოსულან გელიკონიდან და ცეკვა-თამაშში ატარებენ დროს... ყველაზე უფრო ჰაეროვანი ხელოვნება, მუზიკაც, ცდილობს, ენებას დაემორჩილოს... ლიტერატურაში სუფევს დეკადენტობა და უსუფთაო ნატურალიზმი (სინამდვილე)... მერე რამდენი თავის კლაა! არა თუ ახალგაზრდები ეთხოვებიან თავის ხელით სიცოცხლეს, ბავშებიც კი ამას ჩადიან!

მაგრამ არ მინდა ცილი დავწამო ჩვენ საუკუნეს! —გააწყვეტინებს თავის თავს ელიზა ოჟეშკო,—ვიცი, რომ მაინც სულ არ ჩამქრალა სიკეთის იდეალი, ვიცი, რომ ბევრგან იჩენს ის კიდევ თავს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ იდეალს დაცინვით და ურწმუნოთ ეგებებიან, რომ ის იძულებულია მორცხვათ იმალებოდეს... მის მსახურებს დევნიან, მათ ცივათ და მშიათ, მათ სულელებათ, უგუნურებათ სახვენ...

და ამ ახლანდელ საზოგადოების ზნეობრივ მდგომარეობის ჩაშავებულ არეზე ელიზა ოჟეშკოს გამოჰყავს ბრწყინვალე სურათი ქალისა, იმ ქალის, რომელსაც ის მოელის მეოცე საუკუნისაგან. იმ პირღია უბსკრულს ზევით, სადაც იმარხება საუკუნეების ბოროტება და უბედურება—ჩნდება შუქმფინარი ქალი, დიადი და ნაზი, ჭკვიანი და კეთილი, თავგანწირული და მშრომელი... ის დაუღალავათ ფხვრის სიძულვილს და სიხარბეს და თესს მათ ადგილს მშვიდობიანობას და ერთობას; ცალი ხელით ანგრევს ის ოქროს თორის საფეხურს, მეორეთი აქრობს სასიკვდილო იარაღებს; ამ ნაირი ქალების რიცხვი მრავლდება, მალე ყველგან იჩენენ ისინი თავს; გამოჩნდებიან ბავშის აკვანთან, გამოჩნდებიან ახალგაზდა და მოხუც მამაკაცების გვერდით, გამოჩნდებიან იქ, სადაც ოფლს ღვრის დაუღალავი მუშაკი და იქაც, სადაც თავის ოთახში სწავლული კაცი აკვდება მეცნიერებას და ჰგლეჯს მას ხელიდან აზრებს და საიდუმლოებს... ისინი იქნებიან ოჯახშიდაც, სასწავლებელშიდაც, ქარხანაშიდაც, ხელოვნების ოთახშიდაც და სწავლულის მაგიდასთანაც; ყველა შრომაში მონაწილეობას მიიღებენ, ყოველი საქმის გაგებას შეიძლებენ, ყველა ახალ აზრს, ახალ მისწრაფებას მიეკედლებიან... ყველა ამისათვის მათ მიერ შეერთებული, ნუგეშცემული და გაბედნიერებული კაცობრიობა მაღლათ აყენებს მათ, აქებს და ადიდებს სიტყვითა და საქმით...

აი, ოცნება, რომელმაც გაიტაცა პოლონელი მწერალი ქალი, აი საუცხოვო ნახატი, დახატული მისი ხელით: ქალი ფილოსოფოსი, ქალი ქვეყნიერების განმაახლებელი, ქალი მოციქული—ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ქალი —ანგელოზი მეოცე საუკუნისა!

შ—კო.

## მოდი მე წავალ იმ მუშასთან...

(ლექსი პროზათ)

ღამის წყვდიადი ქალაქს ნელ-ნელა ეპარებოდა და დამაშვრალსა, დღის სიცხადით გაბოროტებულს, აღარ შეეძლო... და თვალები ეხუჭებოდა. ბინდმა მოიცვა არე-მარე, მოედვა ყველგან, მიწყდა ყიჟინა, ხმაურობა და ღრიანცელი!.. მეც დავიძინო. რას დავეძებ, რა დამკარგვია?

თუ კი აქამდე ერთმა მაინც არ თანამიგრძნო და ჩემ'ს ვედრებას, ჩემს ღაღადისს ყური არ უგდეს!.. თუ კი ჩემს მოთქმას ბანს აძლევდა მტკვრისა ბუტბუტი და ჩემს ძონძებსა მზე ბრწყინვალე გაანათებდა, თუ კი ჩემს ოხვრას წამონატაცს გიჟ-მაჟ სიოსგან უტყვი, უენო ტყე-ველიც კი იზიარებდა და მაშინ... მაშინ ყველა ზიზღით შემომცქეროდა, ახლა ამ ღამეს, ბინდით მოცულს გავერანებულს, ვინღა შემამჩნევს?.. მაშ, რა მინდა, ვისგან რას ველი?!.

მაგრამ რას ვყბედობ? ფუ, იმ ვაჟ-კაცსა, ვინცა წუწუნით, ცრემლის, ღვრით, ხელის გაშვერით, გამვლელ-გამომვლელს შეავედროს თავისი თავი!.. რაბძანებაა?!. გამათახსირეს, შესვეს-შეჭამეს ჩემი სისხლი და ჩემი ხორცი, გულის ტამრები *) დაიხვიეს ფეხის თასმათა და ჩემი გრძნობა გაიგდე'ს წინ საბურთაოთა და მე კი მაინც მებრალება ისევ მათ ვთხოვო? არა და არა! ჩემი სულთ-სწრაფვა ბოროტების კირცხვა-გმობაა და მთლათ სიცოცხლე —ამაყობა-შურის ძიება!..

დეე, შემთათხონ, დამემუქრონ, ყბათა-ამიღონ, დეე, გამკიცხონ, რაც უნდა თქვან, ცილი დამწამონ

*) ნერვები, ძარღვები.

და თუნდ სატრფოსაც სულის-ღმერთას, გულის-მეფესა, ჩემის ცხოვრების თანა-მგზავრსა, ჩაგრულის იმედს-გინდ შეაძულონ ჩემი თავი, დამკლან მართალი, მაინც... ვიდრემდის პირში სული არ გამიწყდება და ენა მჭევრი სამეტყველოთ არ დადუმდება, არ შევშინდები, არ შევდრკები, ჩემსას კვლავ ვიტყვი... იქნება ოდესმე ჩვენსკენც იყოს სვე სამართალი!!. . . . . . . . . . . . . .

აცა! განათდა უმთავრესი ქალაქის ქუჩა... ვით ელვამ ღვთისა, ცით მოვლენილმა, ვით ჭორმა კაცის-ქასქანჯიელის, შემოუქროლა მინის ლამპრებსა უცხო სინათლემ და... ელექტრონმა საიდგანლაც გამოანათა აჰყვა-ჩამოჰყვა გრძნეულსავით ქუჩის ნაპირებს, გაიციმციმა, დააკვესა და ერთ წუთაზე, გული გაუპო, დაიმონა ღამის სიბნელე. გაივსო ხალხით ფილაქანი, კვლავ ახმაურდენ და კეკლუც ქალთა, ტანით წერწეტთა, ელექტრონს ძირში ჩამოუარეს. ფეხის ფლასტუნი, ვით მტლაშა-მტლუში, უგუნურათა იფანტებოდა, მაგრამ ეს ხმაი, ქალთა რხევაი, ყმაწვილ კაცთ გულსა აუტოკებდა. ხარობდა ყველა, ულიმოდა ერთი მეორეს, დავიწყებოდათ სილარიბე, თან დამცირება და ელექტრონსა, მოკაშკაშე მოელვარესა გაკვირვებითა, საოცნებოთ ყველა უმზერდა. დაჰკრეს მუსიკას, ააჟღერეს საკრავთა ხმები და თავ-ბრუ დასხმულ მოსეირნეთ ესლა უნდოდათ: თამაშკივკივით გამოუდგა ერთი მეორეს, სიცილ-ხარხარით მისცემოდენ თავ-დავიწყებას, დიახ... თავ დავიწყებას!..

ვინ რა იცოდა, რომ ამ ქუჩის ცოტა იქითა, ერთ მყრალ სარდაფში, უზარ-მაზარ მანქანის გვერდით, თვალ-ამოღამვით მუშა-კაცი დაფუსფუსებდა დ გაშტერებით, წარბშეკრული, ოფლათ დამდნარი, მისჩერებოდა ცეცხლის მფრქვეველ მანქანის გულსა... სალოკი თითით ოფლსა შუბლით მოიწურავდა და გაჯავრებით, წყევლა კრულვით, მთლათ დახრუკული დრო გამოშვებით უმარჯვებდა ნავთსა და ქონსა. ქაქან-გუგუნით, შემურვილი, იგი მანქანაც დაულალავათ ხმაურობდა და ბობოქრობდა, ფრთას ფრთასა სცემდა, თვლებსა მკაცრათ ატრიალებდა და აზარმაცით აზარმაცსა ეზიდებოდა. გრგვინავდა მედგრათ, ხმაურობდა ვით მხეცი რამე, ვით გველ-ვეშაპი რისხვა-ღვთისით მოვლინებული; ჰკვნესოდა მწარეთ, ღრიალებდა დაჭრილ დათვივით და გამურული პირით ცეცხლსა დააკვესებდა მეცნიერთაგან სულ-ჩადგმული რკინის მანქანა — ეს იყო ბუდე იმ სხივ-მომფენ ელექტრონისა, რომელიც ნაზათ, საოცნებო ნათელ-ფრქვევითა უმთავრესს ქუჩას მთვარესავით აკაშკაშებდა.

მუშა იგი-კი — მემანქანე, მისი მომწყობი. მაგრამ... რა მაგრამ, ღროს ბრუნვითა, მანქანა იგი მესაიდუმლეს მაგრე რიგათ არ ადგებოდა... ის ეკუთვნოდა ფულის პატრონს, მდიდარ ურიას და თუ ეს მუშა დღე და ღამე ცეცხლში იწოდა, სამაგიეროთ მისი პატრონი ძვირფასი ეტლით ქუჩა-ქუჩა უდარდელათ დაგრიალებდა.

ხარობდენ სხვებიც, ელექტრონი საარშიყოთა ალტყინებდა იქ მოსეირნეთ, აქ კი მანქანის გუგუნღრიალსა, მწარის ღიღინით მუშის გული ბანსა აძლევდა. მოთქვამდა ბედსა დამძოვრებულს, გაკრიჟანგებულს, მოთქვამდა ცოლშვილს მშიერ-მწყურვალს, მიტოვებულსა, მოთქვამდა თვის თავს დამონებულს... მანქანის მსხვერპლსა და ალანძული, გამურული, აჩრდილის მსგავსი, გამწარებითა ხელზე მალ-მალ იკბინებოდა. ვისით ვინ ხარობს, ვინ მდიდრდება, ვინა ნეტარობს, შრომის შვილი კი მუშა კაცი, მდიდართამონა წელზე ფეხს იდგამს, მაგრამ მაინც კვდება მშიერი .. ეხ, ღმერთო, ღმერთო დაგელოცოს ეგ სამართალი!..

მოდი მე წავალ იმ მუშასთან და ყურს დავუგდებ, იქნებ მის გული ჩემს გულს მაინც დაუძმობილდეს, იქნებ იმ მუშამ დაჩაგრულმა მეც, დაჩაგრულსა, სამარადისოთ მომცეს ხელი და გამამხნევოს.

მშვიდობით „ძენო განცხრომისა“ ჯერ ინავარდეთ... ფულის ბზინვითა, მუშის ოფლით თავ-ბრუ დასხმულთა ან კი აქამდის ნეტა რისთვის მოგჩერებოდით?..

ი-ა ეკალაძე.

# პოლიტიკური პარტიები გერმანიაში.

## (გუშინ და დღეს).

### წერილი მეორე *)

### პარტიათა გამორკვევა და პარტიათა ბრძოლა.

აქედან ცხადია, უფლების კითხვა — ეს ძალის კითხვაა. ხოლო ძალის რევოლიუციაა. რომელი მხარეც ამ ძალას იხმარს, ის გაიმარჯვებს და მით უფლებასაც მოიპოვებს. მეფეს სურს თავის უფლების განმტკიცება, ხალხს კიდევ თავისი. ამ დავას ძალა წყვეტს, მეტი გზა არ არის. მარტის აჯანყებამ გამარჯვება ხალხს არგუნა. კიდევ აჯანყებაა საჭირო, რომ ამ გამარჯვებამ ხორცი შე-

*) იხ. კვალი № 8

ისხას, პოლიტიკური ფორმა მიიღოს. მაგრამ ეს აჯანყება ახლა ხალხში კი არა, პარლამენტში წარმოებს, ქუჩის ბრძოლა პარლამენტალურ ბრძოლათ იქცა და ხალხსაც ჰგონია, ამით ჩვენსას გავიტანთო. ამ ილიუზიის დარღვევა—ერთათ-ერთი ისტორიული კითხვაა. პარლამენტი კი პირ იქით ხალხის ასეთ შეხედულებას ამაგრებს და მხარს უჭერს. ის გაიძახის — „კანონიერი ნიადაგი", ,,კანონიერი ნიადაგიო'' და როცა მთავრობა ამ ნიადაგს აცდება, კანონის წინააღმდეგ მოქმედებს, ოპოზიცია მაინც თავისას არ იშლის, კანონიერობის აღდგენას თხოულობს. რომელი კანონიერობა არის ეს? ის, რომელიც რევოლიუციამ მოავლინა და პარლამენტალურ წეს-რიგში გამოიხატა, მარა რევოლიუცია ხომ კანონის დარღვევაა, მაშასადამე ძველი კანონის დანგრევით ახალი კანონი შეიქმნა. მეორე მხრით, თუ კი ახალი წყობილების მომხრეთ უფლება აქვთ აჯანყების და რევოლიუციის, რატომ ასეთივე უფლება არ აქვთ ძველი წყობილების მომხრეთ? მარტში პირველნი აჯანყდენ, ახლა კი ამ გზას მეორენი დაადგენ. პირველი თუ რევოლიუციაა, მეორე რეაქციაა. რეაქცია რომ არ გამაგრდეს, აუცილებელია რევოლიუცია. ძალას ძალა უნდა შეეტაკოს. აი, ამ ძალის წამოყენება ხალხმა ველარ შეძლო, მარტს შემდეგ ის დანაწილდა ორათ: ბურჟუაზია და მუშები, ხოლო უკანასკნელთა მოძრაობამ პირველი დააშინა და ყოველივე რევოლიუცია შეაძულა. იმან უარ-ჰყო არა თუ მომავალი, არამედ მარტის აჯანყებაც, სადაც თვითონვე იბრძოდა. ერთი სიტყვით მან უარ-ჰყო თავისი პოლიტიკური წასული და მით თავისი პოლიტიკური მომავალიც.

ახლა ვნახოთ, როგორ ჩინებულათ ისარგებლეს ამით კონსერვატორებმა.

მთავრობამ, რასაკვირველია, როგორც კი ოპოზიციას სისუსტე შეატყო, ენერგიულ ზომებს დაადგა. თებერვალში (1849 წ.) მომხდარ არჩევნებმა გამარჯვება ზომიერთ არგუნა მაგრამ მთავრობა არც ამან დააკმაყოფილა. კრება გაიხსნა ბრანდენბურგში. ამ დროს ფრანკფურტის პარლამენტის ორი განაჩენი გამოცხადდა. ერთი შეეხება გერმანიის გაერთიანებას და პრუსიის მეფის ამ გაერთიანებული სამშობლოს იმპერატორათ არჩევას; ხოლო მეორე შეეხება შინაგან პოლიტიკურ წყობილებას და ეწოდება ,,გერმანიის ხალხის ძირითადი უფლებები'', ეს ერთიანათ დემოკრატული ხასიათისაა. პრუსიის ნაციონალურ კრებამ დაადგინა: მიღებულ იქმნას ორივე განაჩენი და მთავრობას დაავალა მისი საჯაროთ გამოცხადება. მეფემ კი უარ-ჰყო როგორც ,,ძირითადი უფლებები'', ისე იმპერატორობის ტიტულიც და გაერთიანების სისტემა. 27 აპრილს ურჩი კრება ხელ-ახლა დათხოვნილ იქმნა [1]).

აქედან იწყება აშკარა რეაქცია. მთავრობამ ორი ძირითადი ცვლილება მოახდინა. პირველათ, ერთიანათ შეცვალა საარჩევანო კანონი, შემოიღო ეგრეთ წოდებული სამ-კლასიანი საარჩევანო სისტემა, რაიცა მდგომარეობს შემდეგში: თითოეული საარჩევნო კუთხე იყოფა სამათ, თანახმათ პირ-და-პირი სახელმწიფო გადასახადისა, თითოეულ ნაწილს შეადგენდენ ისინი, რომელთა გადასახადი ამ კუთხის საერთო ჯამის ერთ მესამედს შეიცავს. მაგ. ერთ კუთხეს ცხრა ათასი მარკა გადასახადი ხვდება, თითოეულ საარჩევანო ნაწილს სამ-სამი ათასი მარკა უნდა შეხვდეს. ამით პირველ ნაწილში გადაირიცხებიან—ისინი, ვინც მეტს იხდის, ხშირათ ამ ნაწილს ორი-სამი კაცი შეადგენს. რომელიმე ქარხნის პატრონი იმდენს იხდის, რამდენსაც ასი და ორასი მცირე მესაკუთრე. მაშასადამე, ამ ერთს იმდენი კენჭი აქვს, რამდენიც დანარჩენ ას-ორასს. თითოეული ნაწილი ირჩევს თანასწორ რიცხვ პირთ. ეს არჩეულნი შემდეგ ერთდებიან და ირჩევენ ერთ დეპუტატს. ასე რომ ეს დეპუტატი არაოდეს არ შეიძლება მესამე კლასს, ანუ ნაწილს ეკუთვნოდეს. ამ კანონით დანაწილებული პრუსიის მეკენჭეთა რაოდენობა 1849 წ. წარმოადგენდა: პირველ კლასის 153 ათასს, მეორის 409 ათასს და მესამის 2 მილიონ 700 ათასს. ცხადია, მთელი პოლიტიკური ძალა უმცირესობას გადაეცა. ორ მილიონ ნახევარს იმდენი ხმა აქვს, რამდენიც ას ორმოცდა ათი ათასს! ამოდენა ხალხი ერთ მუჭა ხალხს დაუმორჩილეს! უკანასკნელს შეიცავდა მემამულენი და შეძლებული ბურჟუები. აი, ასეთი დამახინჯებული არჩევანისაგან წარმოდგება ნაციონალური კრება, მარა ეგეც საშიშრათ ჩათვალეს. ამიტომ მთავრობამ მეორე, უმაღლესი, პარლამენტი შექმნა, რომელსაც უწოდებენ ხან სენატს, ხან პირველ პარლამენტს და ხან ბატონებთა საკრებულოს. როგორც იყო, უკანასკნელი სახელი შერჩა. ამისი წევრები ინიშნებიან მეფის მიერ, განსაკუთრებით მემამულენი და უმაღლესი მოხელენი. აი, ამას დაუქვემდებარეს ხალხის დამახინჯებული პარლამენტი. ამით სიტყვა სიტყვით განხორციელდა სტალის პროექტი. ამას გარდა შეავიწროვეს ბეჭდვის, ყრილობის და სიტყვის თავისუფლება. აკრძალეს მუშათა საზოგადოებები, დემოკრატთა კლუბები და სხვ.

---

[1]) ,,ჯვარიანი გაზეთი'' წერდა: ,,რასაკვირველია მეფე ხალხის მიერ გამოგზავნილ საჩუქარს (ვითომ იმპერატორობას) არ მიიღებდაო''. აზნაურებმა ნათლათ დაამტკიცეს, რომ ისინი წოდების ინტერესს უფრო მაღლა აყენებენ, ვინემ სამშობლოსას.

აგვისტოში მომხდარ არჩევანმა მოგვცა ასეთი პარტიები: უმრავლესობა კონსერვატორები, უმცირესობა ლიბერალები, დემოკრატები არც ერთი. ამნაირათ, ფეოდალთა პარტიამ გაიმარჯვა და ჩადგა მთავრობის სათავეში. ამით მთელი გერმანიის ბედიღბალიც გადაწყდა. პრუსიამ გაგზავნა თავისი ჯარები საქსონიაში, ბადენში და სხვა წვრილ სახელმწიფოებში აჯანყებულთა დასათრგუნავათ და წესიერების აღსადგენათ. ფრანკფურტის პარლამენტი ჯარმა დაშალა და გაჰდევნა. ერთი სიტყვით პრუსიის რეაქცია შეიქმნა მთელი გერმანიის რეაქციათ; აზნაურთა ბატონობა—ეს ძალ-მომრეობის ბატონობაა. მოწინააღმდეგეთა დევნა, დაჭერა, დასჯა, მეკენჭეთა ძალდატანება და სხვა ასეთი ხელ-ფეხ შემკვრელი ზომების მიღება—აი, ამ ძალ-მომრეობის დახასიათება.

ამ გვარათ, თუმცა რევოლიუციამ გამარჯვება მიანიჭა თავისუფლების პრინციპს, მარა მისი ცხოვრებაში გატარება კონსერვატიული შეიქმნა; თავისუფლება ვიწრო გალიაში ჩაამწყვდიეს და დარაჯათ კეთილ-შობილნი მიუჩინეს. მთავრობამ ნაციონალური კრება დაიმორჩილა იმით, რომ იქიდან ნაცია გააძევა. ნაციონალური კრება უნაციოთ! ხალხის პარლამენტი უხალხოთ! პოლიტიკური პარტიობა უპარტიოთ! ბეჭდის თავისუფლება ცენზორით! ყრილობის თავისუფლება ჟანდარმებით! ხალხის უფროსობა პოლიციის უფროსობით! აი, კონსერვატორთა პოლიტიკა!

პრუსიის ბიუროკრატია იძულებული შეიქმნა კონსტიტუციონალური წყობილება შემოეღო, ხოლო ეს ისე, რომ ერთათ-ერთი მისი შინაარსი—ხალხის უფროსობა—გამოეშორებია და მის ალაგას თავისი უფროსობა ჩაესვა. ეს შინაარსი და ეს ფორმა ერთმანეთში ვერ თავსდებიან, ერთმანეთს ძირიანათ ეწინააღმდეგებიან და იმავე დროს იძულებულია ერთათ იყონ, ერთათ იცხოვრონ. ეს ერთნაირი სასწორია, რომლის ერთ მხარეს ბიუროკრატია ჩამოკიდებია, ხოლო მეორე მხარეს ხალხი, ხან იქით გადაიწევს და ხან აქეთ. ამ სასწორის თამაში, მისი გადარხევ-გადმორხევა გვიჩვენებს სახეს მთელი გერმანიის პოლიტიკური წყობილებისას. და ეს გძელდება დღევანდლამდი! პირველის უეჭველი დამცველი მემარჯვენე პირობებია, მეორის კი მემარცხენენი. ხოლო შუა პარტიები, ლიბერალები, ხან იქით არიან, ხან აქეთ. ამათ ისტორიამ მელაძუობის როლი მიანიჭა. გერმანიის პოლიტიკის ჩარხი აქ ტრიალებს, მისი მართულები აქ არიან თავმოყრილი, მისი დედა-ძარღვი აქ არის.

ნ. ჟ—ნია.

(შემდეგი იქნება)

***

შედექი, ტალღავ, შედექი-მეთქ, გესმის თუ არა?!“
ოხ, უბედური, რა ხმა-მედგრათ ვიძახდი ამას,
და ახლა მხოლოთ ნანგრევთ შორის ჩემის გულისა
გკითხულობ მისვე ვაგლახ-ბედსა და მწარე ამბავს.
თურმე ის იყო გრძნობა ჭარბი ბრძოლის ყიჟინი,
ხმა უსუსურის გოლიათთან საბრძოლველათა,
ოხ, მეგობარნო, ვინც ტიროდა იგი კვლავ ტირის,
ვერც ვხედავთ გმირსა გამოსულსა ბრძოლის ველათა.
ნუ თუ იმისთვის გამომზარდე, დედავ, მშობელო,
რომ ცრემლთ გუბეში ვუყურებდე ჩემსავე სახეს?
ამ დროს კი როგორც მსახიობი პირშეფერილი,
ტუჩზე ღიმილით უხვდებოდე ნაცნობს და მნახველს!
მაშ რათ, რათ იყო საიდუმლო იგი ფურჩული,
აღმოსავლეთ ქროდნენ...
ნუ თუ ცუდლუტმა ოცნებამან შემიქმნა იგი
და მომაჩვენა ეკალზედა ვარდი—იანი?

ი. ევდოშვილი.

ცხოველთა შთანაჩენის *) განვითარება.

I.

სარწმუნოება და ცოდნა სრულებით სხვა-და-სხვაობენ. ორივე სხვა-და-სხვა გზას ადგას. ორივე სასწორს მოგვაგონებს, რომლის ერთი ბოლო დაიწევს ხოლმე მაშინ, როცა მეორე აიწევს.

ბიუხნერი.

ჩვენი, საოცარი ნიჭისა და შემოქმედებითი მადლის მექონე პოეტი, აკაკი ერთ თავის ლექსში ასეთ სიტყვებს წარმოთქვამს, ბუნე-

*) შთანაჩენი – Зародышъ.

ბის ძალთა განახლებასა და აღორძინებას რომ დაინახავს მისს.

„შვენიერი ხარ მეტათ, ბუნებავ!..
„ნეტავ, თუ იყოს ღვთისა ქმნილება,
„გწვრეტდეს, არ იგრძნოს მან ნეტარება!“

აქ გამოთქმულია გრძნობა ბუნებისადმი სრული სიყვარულისა და ღრმა თაყვანებისა. აზრი ამ ლექსისა, თუ გნებავთ, ნამდვილი პანთეისტურია. და დღეს ეს აზრი, ეს გრძნობა ბუნებისადმი ჩვენთვის ადვილი გასაგებია. მაგრამ ასე როდი იყო ყოველთვის. დღესაც ყველასათვის ბუნება როდი წარმოადგენს შვენიერებას და ან ყველა როდი გრძნობს მის სანახაობით ნეტარებას. წინეთაც და დღესაც მდაბიო ხალხს ბუნება საშიშროებათ მიაჩნია. ბუნებას იგი თვლის, ჰხდის თავის მტრათ და, მოგეხსენებათ, სადაც მტრობა და შიშია, იქ არც სიყვარულია, არც ნეტარება. მდაბიო ხალხის წარმოდგენით, ბუნება მოფენილი და სავსეა რაღაც უხილავ ქმნილებებითა. ეს ქმნილებანი ადამიანს უთვალთვალებენ, მას გზირათ, დარაჯათ უდგანან, რომ რამე ვნება მიაყენონ, ზარალი მისცენ. წინეთ ეს წარმოდგენა ბუნებაზე, ეს რწმენა მარტო მდაბიო ხალხის კუთვნილებას კი არ შეადგენდა: ამ შეხედულებისავე იყვნენ თვით ფილოსოფოსნი ძველი დროისა. მათ შორის მხოლოთ ერთათ-ერთი ეპიკურია, რომელსაც ბუნებისადმი უღრმესი სიყვარული ჰქონდა. ეპიკური ურჩევდა ადამიანს ბუნებას დაახლოვებოდა და მინდორ-ველის თავისუფალ, სუფთა ჰაერზე ეცხოვრა პირველი ეპიკური იყო, რომელმაც ქალაქის ადგილას ნამდვილ სოფლურათ ცხოვრება იწყო [1]): მან ათენის მიდამოში ბაღი გაიშენა და იქ ბუნებასთან დაახლოვებული ცხოვრებდა. ზოგს ეს მისდამი სიყვარულს და პატივისცემას ულვიძებდა, ზოგს კი აკვირვებდა და განცვიფრებაში მოჰყავდა. იმ ბაღის ჭიშკარს თურმე ასეთი ღრმა აზრიანი წარწერა ჰქონდა: „მგზავრო! აქ კარგათ სიამოვნებ, აქ კმაყოფილება, უმაღლესი სიკეთე სუფევს“. ეპიკურისა და მის მოძღვრების მიმდევართა ბუნებისადმი ასეთი სიყვარული, თაყვანება პირდაპირი შედეგი, ლოგიური დასკვნა იყო მისი მოძღვრებისა: ეპიკური ნამდვილ თავისუფალ მოაზრეს, თანამედროვე libre pensevr'-ს წარმოადგენდა და ცხადათ უარს ჰყოფდა ყოველგვარ ცრუ-მორწმუნოებას, რომელიც ხალხის უვიც გონებას შეექნა და რომელსაც სხვა ფილოსოფოსნიც მხარს აძლევდენ. ეპიკურის მოძღვრება და სწავლა ისეთი ღრმა, ისეთ ნამდვილ უტყუვარ ფაქტზეა დამყარებული, რომ ბევრი ეპიკურს უწოდებს libérateur des esprits. მაგრამ ეს ცხოველ-მყოფელი სწავლა დიდხანს იყო მიმქრალი და დავიწყებული... ხოლო მე-XVIII საუკ. ადამიანის გონება კვლავ გამოფხიზლდა, აზროვნების თვალები მოიფშვნიტა და ბუნებას იმავე გრძნობით დაუწყო ცქერა, რა გრძნობითაც შეყურებს ხოლმე შვილი საყვარელ მშობელს.

მე-XIX საუკ. კი ბუნებისადმი სიყვარული ხომ თითქმის კულტათ გარდიქცა. ასეთმა გრძნობამ ადამიანის გონება და აზრი უფრო წააქეზა, თვისი საყვარელი და სათაყვანებელი მშობლის დაახლოვებით შესასწავლათ და ღრმათ შეგნებისათვის. მართლაც, მაგრათ ფეხი მოიკიდა, ძალ-ღონე მოიკრიბა და ძალზე განვითარდა ბუნების მეცნიერება. აქ აღორძინდა თავდავიწყებამდი მიღწეული ძიება და კვლევა ბუნების ძალთა და მოვლენათა, და ამ ძიებით მკვირცხლი გონება ადამიანისა ბუნების საიდუმლოებათ თანდა-თან ფარდასა ხდის. აქ მტკიცეთ დამყარდა ნამდვილი, უტყუარ ფაქტზე და გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა, რომლის თანდათანი, ნელი, მაგრამ კი ბეჯითი წინ-სვლა ჰკვეთს, სპობს სხვა-დასხვა ცრუ-მორწმუნეობას, რაიც შეუქნია ადამიანის უვიცსა და ბრიყვ გონებას და რასაც სარწმუნოება ქომაგობს, ესარჩლება და ულალავებს: კვლევისა და ძიების ასეთმა მუყაითობამ ჩვენი ცოდნა მსოფლიომხედველობა (Миро созерцаніе) გააფართოვა და უტყუარ ფაქტათ აღიარა, რომ მთელი მსოფლიო, ბუნება და ყველაფერი, რასაც იგი შეიცავს, განვითარების გზას ადგას, ცვალებადია და წარმავალი: ყოველივე და ყოლიფერი იზრდება, იცვლება და ვითარდება. ამ მოძღვრებას, ამ ბუნების მეცნიერულ სწავლას ზოგი პროგრესს უწოდებს, ზოგიც ევოლიუციას. ცხადია, პირველი ტერმინის ნაკლულევანება: იგი მხოლოთ მოვლენათა სულ მცირე ნაწილს შეეფერება, რადგან ბუნებაში ხშირათ რეგრესსაც ადგილი აქვს. ამასთანავე ეს ტერმინი ტელეოლოგიურია, ე. ი. სამიზნო მიმდევარია. ჩვენ, ადამიანებს შეგვიძლია ვიქონიოთ ჩვენი მოქმედებისა და მოღვაწეობის სარჩულათ რაიმე მიზანი, მაგრამ უფლება არა გვაქვს ჩვენი მიზანი ბუნებაზე გადვიტანოთ და მას თავზე მოვახვიოთ, საზოგადოთ მაინც საფრთხილო და მოსარიდებელია მიზნის მიყოლა, ტელეოლოგია, რადგან იგი ხშირათ ვოლტერის პირის მდგომარეობაში ჩაგვაყენებს ხოლმე, მას გვამსგავსებს. მკითხველს, უეჭველია, ეცოდინება, რომ ვოლტერი პროგრესის, განვითარების მიმდევა-

---

[1]) პლინი ამბობს: usque ad eum moris non fucratin appidis habitari rura. (ეპიკურამდე ქალაქებში სოფლურათ ცხოვრებისა ჩვეულებათ არ იყო).

რი იყო, მაგრამ ამავე დროს იგი დაუძინებელი მტერიც იყო იმ ფილოსოფოსთა, რომელნიც ტელეოლოგიური შეხედულებისა იყვნენ. ამიტომ მან ერთ თავის სატირაში ეს ფილოსოფოსნი სასაცილოთ აიგდო და მათ პაროდიათ ვირი გამოიყვანა, რომელიც დინჯსა და ღრმა ფილოსოფიურ განსჯასა და მოსაზრებას შემდეგ იმ დასკვნაზე დადგება, რომ განგებას, შემოქმედს ყველაფერი მხოლოთ მისდა სასიამოვნოთ შეუქმნია: თვით ადამიანიც კი, ეს ძვირფასი თვალი ბუნებისა, შემომქმედს მხოლოთ იმიტომ გაუჩენიაო, რომ მე საურველით მასუფთავებდეს და ბაგას მიშენებდესო... სასაცილოა, სამარცხვინოც რომ არ იყოს ამ ვირთან შედარება... და, ვინ იცის, რამდენი ტელეოლოგი ამას არა გრძნობს... ჩვენ კი არც სურვილი და არც გონება ნებას არ გვაძლევს ამ მდგომარეობაში ვიმყოფებოდეთ. ამიტომ უფრო აზრიან და მართალ ტერმინათ მიგვაჩნია ევოლიუცია [2]). ევოლიუციონური მოძღვრება გვეუბნება, რომ თვალ-წინ ჯერ კიდევ გადაშლილი გვაქვს ფართო და ვრცელი შარა, რომლის გავლა მოგველის. პირველათ გაჩნდენ სულ მარტივი, უბრალო აგებულების არსებანი, მერმე ამათგან ნელ-ნელა გამოირკვა და განვითარდა რთული არსება, სხეული. ადამიანიც პირველათ განუვითარებელი იყო ფიზიკურათ და სულიერათ. მისი ზნეობრივობა ჯერ კიდევ გამოურკვეველი, ტლანქე და საზიზღარი იყო. მხოლოთ მრავალი საუკუნოების განმავლობაში კაცობრიობა თანდათან, ნელ-ნელა ვითარდებოდა და ვითარდება დღესაც ფიზიკური, გონებითი და ზნეობრივი მხრით. „ოქროს საუკუნე“ ანუ, როგორც სპენსერი იტყოდა: „მმოძრავი შეწონვის მდგომარეობა“ კაცობრიობას წინეთ, წარსულში კი არა ჰქონდა, არამედ ასეთი მდგომარეობა მას მოელის აქ, ამ საქაო ნიადაგზე და არა ამ სოფლით გაღმა, მეშვიდე ცაზე.

ადვილათ წარმოსადგენი და მისახვედრია, თუ რათ მოხდა, რომ ეს მოძღვრება ასე გვიან გამოირკვა და განვითარდა გარდა ეპიკურისა, ძველი ქვეყნის ფილოსოფოსთ ეს იდეა სიზრმათაც არ მოლანდებიათ. არც საშუალო საუკუნოებს ჰქონდათ რაიმე წარმოდგენა განვითარებასა, ცვალებადობასა და შეუჩერებელ წინ მსვლელობაზე. რომ თქვას კაცმა, ეს ასეთაც უნდა ყოფილიყო, რადგან იდეა განვითარებისა სრული წინააღმდეგია სარწმუნოებრივი, რელიგიური მოძღვრებისა. ვისაც პირველი რწამს, მეორე უკუგდებული აქვს. ვინც მეორის მიმდევარია, მას განვითარებისა არა ჯერა-რა. ამიტომ, სანამ პირველი დიდი ხნობით მიმქრალი და სალათას ძილში იყო, მეორე სრულ ძლევა-მოსილობას გრძნობდა და ბატონობდა, ფართაშობდა მდიდრულათ. პირ-იქით როცა პირველმა იდეამ ძალ-ღონე მოიკრიბა, წელში გაიშალა და მტკიცე ნიადაგს დაადგა, მეორე მაშინვე მისუსტდა, მიდუნდა და ნელ-ნელა ჰქრება.

მართლაც-და, ვისაც წინ-მსვლელობა რწამს, იგი დაბეჯითებულია, რომ წარსული აწმყოსა და მომავალთან შედარებით ბევრი ნაკლულევანების მექონე და დაბალ საფეხურზე დგას. ეს რწმენა კი იმის გამომთქმელია, რომ წარსული სრული, უნაკლულო არ იყო და უძლურიც იყო. ყოველგვარი სარწმუნოებრივი წარმოდგენა კი წარსულის უაღრესობასა და ყოვლად-შემძლებლობაზე ჩაგვჩიჩინებს: ეს ის დრო იყოო, როცა ყოვლად-შემძლე შემოქმედება ყოველივე შეიქმნა და გააჩინა, როცა ამ შემოქმედს ადამიანთან პირდაპირი დამოკიდებულება, მიმოსვლა და ბაასი ჰქონდა გამართულიო. მაშასადამე, ადამიანიც მაშინ უფრო ძლევა-მოსილი, უფრო ბედნიერი იყოო. ამიტომ, თუ გვსურს ბედნიერება და კმაყოფილება მოვიპოვოთ, აწმყოს უნდა ზურგი ვუჩვენოთ და წარსულს მივუბრუნდეთ. ყოველ გვარი ბოროტება, ცუდი და ავი, რაიც საწუთროში მოიპოვება, შედეგია გადაგვარებისა, დაქვეითებისა. რელიგიურ წარმოდგენას ევოლიუციონური მოძღვრების საწინააღმდეგოთ მხარს აძლევს, და[illegible]ბას უწევს წინაპართ კულტიც, გმირთა თაყვანე[illegible]. ბავშის წარმოდგენით მშობლები მართლა უაღრესი და უდიდესი ძალისა და სულის მექონენი არიან. აგრეთვე მშობლებსაც ჩვეულებათ აქვთ აწმყო აძაგონ, თავისი დრო კი აქონ და კარგათ, შესხმით მოიხსენონ. ამ ორი მიზეზისაგამო ბავშის გონება ადვილათ

---

2) სპენსერს კი უფრო სამართლიანათ მიაჩნია ტერმინი ინვოლიუცია. რადგან განვითარება თან დევს ნივთიერების ინტეგრაციას, ატომთა და ნაწილაკთა თავმოყრას, ამ დროს კი ნაწილაკთა მითვისებული მოძრაობა, ტოკვა კლებულობს და სივრცეში იფანტება, ამიტომ საქმე ისე წარმოებს, რომ თითქოს ატომები, მოლეკულები (ნაწილაკები) ერთმანეთს ესიზნებიან, ეხორცებიან.